

რელიგიის საკითხთა
სახელმწიფო სააგენტო



STATE AGENCY FOR
RELIGIOUS ISSUES

2018–2019 წლების ანგარიში/ANNUAL REPORT

2020
თბილისი
TBILISI

წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილია რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ 2018-2019 წლებში გაწეული საქმიანობის ანგარიში, რომელიც მოიცავს ქვეყანაში რელიგიის თავისუფლების კუთხით არსებული ვითარების ანალიზს და იმ ძირითად ღონისძიებებს, რასაც სააგენტო ქვეყანაში რელიგიის თავისუფლების, შემწყნარებლური გარემოს განმტკიცებისთვის ახორციელებს.

ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, სადაც ნადგურდება ქართული ეკლესია-მონასტრები და უხეშად ირღვევა მკვიდრი მოსახლეობის უფლებები რელიგიის, გამოხატვისა და გადაადგილების თავისუფლების კუთხით.

ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სააგენტოს საქმიანობაზე „ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში, ასევე ასახულია სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური ორგანიზაციებისათვის გაწეული ფინანსური თუ სხვა სახის დახმარება და განხორციელებული პროექტები.

This edition presents a report on the activities carried out by the State Agency for Religious Issues in 2018-2019, including analysis of the situation in the country regarding freedom of religion and those main events that the Agency is conducting to promote freedom of religion and a tolerant environment.

In the report, particular attention is paid to the occupied territories of Georgia, where Georgian churches and monasteries are destroyed and the rights of indigenous peoples are severely violated in terms of freedom of religion, expression and movement.

The report provides information on the Agency's activities within the framework of the “Action Plan of the Government of Georgia on the Protection of Human Rights”, as well as financial or other assistance provided by the state to religious organizations and projects implemented.



რელიგიის საკითხთა
სახელმწიფო სააგენტო

2018–2019 წლების ანგარიში

სარჩევი

1. რელიგიისა და რწმენის თავისუფლება ოკუპირებულ ტერიტორიებზე	6
1.1. ოკუპირებულ ტერიტორიებზე 2018-2019 წლებში არსებული ვითარება	7
1.1.1. ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი (2018-2019 წ.წ.)	7
1.1.2. ოკუპირებული აფხაზეთის ა.რ. (2018-2019 წწ)	11
1.2. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს აქტივობები ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით	11
1.3. ეროვნებით ქართველი და აღმსარებლობით მართლმადიდებელი სასულიერო პირების გადაადგილების შეზღუდვა და შევიწროება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე	12
1.4. ოკუპირებულ ტერიტორიებზე რელიგიის თავისუფლების მხრივ არსებული ვითარების ზოგადი აღწერა საანგარიშო პერიოდამდე	13
1.4.1. ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	13
1.4.2. ქართული საკულტო ნაგებობების უმძიმესი მდგომარეობა ოკუპირებულ აფხაზეთის ა.რ.-ში	14
1.4.3. ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი	16
1.4.4. ქართული საკულტო ნაგებობების უმძიმესი მდგომარეობა ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში	16
2. ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2018-2020 წ.წ.	20
2.1. ტრენინგები სტუდენტებისათვის	20
2.2. ტრენინგები მასმედიის წარმომადგენლებისათვის	20
2.3. ტრენინგები სასულიერო პირებისათვის	21
3. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება რელიგიური შემწყნარებლობის მიმართულებით	22
3.1. ინტერრელიგიური კალენდარი და კალენდარი ბრაილის შრიფტით	22
3.2. პუბლიკაციები	22
3.3. საქართველოში მოქმედი საკულტო ნაგებობების რუკა და რელიგიური რუკები	23
3.4. ტოლერანტობის საერთაშორისო დღე	24
3.5. გამოფენა – „რელიგიები საქართველოში“	24
3.6. ფოტოალბომი – „რელიგიები საქართველოში“	25
4. თანამშრომლობა სახელმწიფო უწყებებთან	26
4.1. საქართველოს პარლამენტი	26
4.2. საქართველოს სამთავრობო სტრუქტურები	26
5. თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან	28
6. რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების ფარგლებში	29

6.1. ბენეფიციარ კონფესიათა წრის დაფინანსების გაზრდასთან დაკავშირებული მომართვები.....	29
7. „რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი სარეკომენდაციო კომისია“	30
7.1. სარეკომენდაციო კომისიის სხდომები.....	31
8. ინტერრელიგიური სათათბირო	34
9. „ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის“ – კონფერენციათა ციკლი/დეკლარაციები	36
10. სახელმწიფო ენა სასულიერო პირებისათვის.....	39
11. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები	40
12. სახელმწიფოს ურთიერთობა რელიგიურ ორგანიზაციებთან	42
13. რელიგიის სააგენტოს ინიციატივა – ქართულ-ებრაული ურთიერთობები	44
14. საქველმოქმედო აქციები.....	45
15. შეხვედრები დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან	46
16. ვიზიტები საზღვარგარეთ	47
17. რელიგიის სააგენტოს სხვადასხვა აქტივობები/შეხვედრები	53
18. რელიგიის სააგენტოს მონაწილეობა სასამართლო განხილვებში	56
19. რელიგიის სააგენტოს რეორგანიზაცია	57
20. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლობები რეგიონებში	58
21. მედიასთან ურთიერთობა	59
22. დანართი – ადმინისტრაციული ანგარიში (2018-2019 წ.წ.)	60
22.1. ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ (2018 წ.)	60
22.2. დანართი – სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ხარჯების შესახებ ინფორმაცია (2019 წ.)	67
22.3. ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ (2019 წ.)	67
22.4. კორესპონდენცია (2018-2019 წ.წ.)	73

1. რელიგიისა და რწმენის თავისუფლება ოკუპირებულ ტერიტორიებზე

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ოკუპირებულ აფხაზეთის ა.რ.- ში და შიდა ქართლის ოკუპირებულ ნაწილში (ცხინვალის რეგიონი) რელიგიის თავისუფლების მიმართულებით მდგომარეობა უკიდურესად რთულია, კერძოდ, დარღვეულია ეროვნებით ქართველების და აღმსარებლობით მართლმადიდებლების:

- სიცოცხლის უფლება;
- რელიგიის თავისუფლება;
- გამოხატვის თავისუფლება – რწმენის გამჟღავნება აღმსარებლობით, ქადაგებით, წესებისა და რიტუალების აღსრულებით;
- გადაადგილების თავისუფლება;
- მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მძიმე მდგომარეობა მუდმივად ხვდება საერთაშორისო ორგანიზაციების ყოველწლიურ ანგარიშებში. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიური საერთაშორისო ანგარიშები მსოფლიოში რელიგიის თავისუფლების შესახებ. კერძოდ, 2018 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „...აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რუსეთის მიერ ოკუპირებულია და ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის გარეშე რჩება. ამ რეგიონებიდან სანდო ინფორმაციის მოპოვება კვლავ რთულია... საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებს კვლავ არ შეუძლიათ რელიგიური მსახურების განხორციელება რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე¹“. ანგარიშში, ასევე, ნახსენებია საქართველოს მთავრობისა და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ.

ცალკე აღსანიშნავია უკანონო საზღვრის გავლების პროცესი, რომელიც უდიდეს პრობლემას უქმნის ეროვნებით ქართველ მოსახლეობას. ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში, საოკუპაციო ხაზის საერთო სიგრძე 350 კმ-ზე მეტს შეადგენს. საოკუპაციო ხაზის გასწვრივ, ჯამში, 53 კმ-ზე მეტი სიგრძის მავთულხლართები და ღობეებია გავლებული, ხოლო ოკუპირებულ აფხაზეთში საოკუპაციო ხაზის სიგრძე, დაახლოებით, 145 კმ-ია. უკანონოდ მოწყობილი ღობეების, მავთულხლართების, ტრანშეებისა და მიწათხრილების საერთო სიგრძე კი 48 კმ-ზე მეტი. საზღვრის გავლების უკანონო პროცესი გრძელდება.

სისტემატურ ხასიათს ატარებს უკანონო დაკავებები. არსებული ინფორმაციით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ხელოვნურად გავლებული საზღვრის უკანონო გადაკვეთის გამო, მხოლოდ გასულ, 2019 წელს, ცხინვალის დე-ფაქტო რეჟიმმა 619 მოქალაქე დააკავა (მათ შორის: 175 ე.წ. საზღვრის კვეთის, 265 კი სასაზღვრო ზოლის კვეთის ბრალდებით), ხოლო აფხაზეთში ხელოვნურად გავლებული საზღვრის გამყოფ ზოლთან დაკავებულია 7 ადამიანი.

აღსანიშნავია ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის ცხინვალის იზოლატორში დატყვევება, რამაც საერთაშორისო საზოგადოების საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია.

უკანონო საზღვრის გავლებით, გორის რაიონის სოფლების ქართველ, მართლმადიდებ-

¹ <https://www.state.gov/reports/2018-report-on-international-religious-freedom/georgia/?fbclid=IwAR1JHqyDCmcP2WaKn8tXcMfIDYD5C-zto7bnSFNsvC1NyKjkSgpQ7lsHz4k>

ბელ მოსახლეობას უჭირს სასაფლაოებამდე მისვლა; ასევე, შეზღუდული აქვთ გადაადგილება შემდეგ ტაძრებამდე:

სოფ. კირბალში:

1. ლომისის წმინდა გიორგის ეკლესია;
2. წმინდა გიორგის ეკლესია (მისვლა პოლიციის თანხლების გარეშე სახიფათოა);
3. ღვთისმშობლის ნიში (მისვლა პოლიციის თანხლების გარეშე სახიფათოა).

სოფ. აძვში:

4. წმინდა გიორგის ეკლესია;
5. ღვთისმშობლის ეკლესია;
6. ჩაძირული ეკლესია (სავარაუდოდ, წმ.თომა მოციქულის).

სოფ. ქვემო ხვითში:

7. ყვავის საყდარი.

სოფ. ქერეში:

8. კვირაცხოვლის ტაძარი;
9. წმინდა გიორგის ნიში.

სოფ. ფლავში:

10. ძველი სასაფლაო (მისვლა პოლიციის თანხლების გარეშე სახიფათოა).

სოფ. მეჯვრისხევში:

11. ლომისის წმინდა გიორგის ეკლესია.

სოფ. წითელუბანში:

12. წმინდა გიორგის ტაძარი.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარღვეული და შეზღუდულია ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის ყოველგვარი საარსებო უფლება (საკუთრების, გადაადგილების თავისუფლების, განათლების, რწმენისა და აღმსარებლობის, ლოცვის და ა.შ.). ანალოგიურად, დარღვეული და შეზღუდულია ბავშვთა უფლებები, რაც კიდევ უფრო ართულებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მძიმე მდგომარეობას.

1.1. ოკუპირებულ ტერიტორიებზე 2018-2019 წლებში არსებული ვითარება

1.1.1. ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი (2018-2019 წ.წ.)

სხვადასხვა წყაროს თანახმად, ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში 4000 -მდე ქართველი ცხოვრობს. საანგარიშო პერიოდში, ოკუპირებულ ქ. ცხინვალში, დამთავრდა რუსული მა-

რთლმადიდებლური ტაძრის (ყოვლადწმიდა სამების სახელობის ეკლესია) უკანონო მშენებლობა¹, რომელიც ყოფილი ქართული სკოლის ადგილზე აშენდა. მიმდინარეობს კიდევ ერთი, რუსული ტაძრის (წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის) მშენებლობა ცხინვალის „მოსკოვის“ დასახლებაში². ორივე მშენებლობას ხელმძღვანელობს მღვდელი, სერგეი კოკოვი, რომელიც ემორჩილება მოსკოვის საპატრიარქოს ვლადიკავკაზისა და ალანიის ეპარქიას. ამავე ეპარქიის საიტზე განთავსებულ კოკოვის ბიოგრაფიაში პირდაპირაა ნათქვამი, რომ მღვდელი მონაწილეობდა 2008 წლის ომში ქართველების წინააღმდეგ და საბრძოლო ჯილდოებიც აქვს მიღებული.³

2019 წელს, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე – აფხაზეთის ა. რ-ში და ცხინვალის რეგიონში მყოფ რუსულ სამხედრო ნაწილებში ჯარის მეთაურების დამხმარეებად, 3 წლის ვადით, მიავლინეს სასულიერო სასწავლებლების კურსდამთავრებული მოძღვრები, რის თაობაზეც საპროტესტო წერილი გაგზავნა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქმა.⁴

ზოგადად, ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიაზე უკანონოდ მოქმედებს ორი მართლმადიდებლური რელიგიური ორგანიზაცია – იქ დისლოცირებული რუსეთის არმიის ჯარისკაცებისათვის გახსნილი ეკლესია ეკუთვნის რუსეთის მართლმადიდებელ საპატრიარქოს, პარალელურად, მოქმედებს ადგილობრივი, თვითთადიარებული „ალანიის ეპარქია“. ოსური მრევლის ნაწილი „ალანიის ეპარქიის“ დაქვემდებარებულ ეკლესიას, დე-ფაქტო ხელისუფლება კი რუსი ჯარისკაცებისთვის აშენებულ ტაძარს სტუმრობს. ასე მოხდა 2019 წლის აღდგომის დღესასწაულზეც – თვითგამოცხადებული, სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის მაღალი რანგის თანამდებობის პირები რუსეთის არმიის კუთვნილ ეკლესიაში მივიდნენ⁵. სხვა მართლმადიდებლური ტაძრების უმეტეს ნაწილში, სადაც ვერ მსახურობენ ოკუპირებული ტერიტორიებიდან გამოდევნილი ქართველი მართლმადიდებელი სასულიერო პირები, შესულია თვითთადიარებული „ალანიის ეპარქიის“ სამღვდელოება. ცნობილია, რომ თვითთადიარებული „ალანიის ეპარქიის“ ეპისკოპოსია ამბროსი მეთონელი (ბაირდი)⁶, ხოლო ადგილზე მსახურობს მღვდელი, იაკობ ხეთაგუროვი.

თვითთადიარებული „ალანიის ეპარქია“ კანონიკურად არ მიეკუთვნება არც ერთ ოფიციალურ საპატრიარქოს, რის გამოც ოსი საეკლესიო სეპარატისტები იძულებულები გახდნენ, კავშირი დაემყარებინათ საბერძნეთის ე.წ. „კიპრიანეს სინოდთან“, რომელიც ევქარისტიულ კავშირში იყო რუსეთის ემიგრანტული ეკლესიის ანტიმოსკოვურ საეკლესიო ჯგუფთან და ზოგადად, მფარველობდა განდგომილ საეკლესიო დაჯგუფებებს. 2003 წლის 31 იანვარს, „კიპრიანეს ეკლესიის წმინდა სინოდმა“ განიხილა და დააკმაყოფილა ოსების თხოვნა

¹ <https://blagos.ru/content/na-hram-svyatoy-troicy-v-g-chinvale-ustanovlen-krest>

² https://sputnik-ossetia.ru/South_Ossetia/20191231/9855647/Uzhe-nakryli-kupol-i-zvonitsy-kak-v-Tskhinvali-stroyat-khram-na-sredstva-prikhozhan.html

³ <https://blagos.ru/content/ierey-sergiy-kokoev>

⁴ <https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%94-%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A1/30276607.html>

⁵ https://netgazeti.ge/south_caucasus/371008/

⁶ ამბროსი მეთონელი (ბაირდი), ეროვნებით ინგლისელი; დაიბადა 1949 წ. 14.08 ლონდონში (ქ. პავლიაშვილი „ალანიის ეპარქიის ე.წ. „ალანიის ეპარქიის“ საეკლესიო პრობლემა – წარმოშობის მიზეზები და მოსალოდნელი შედეგები.“) <http://cominf.org/node/1166485761>

მის დაქვემდებარებაში მიღების თაობაზე ¹; თვითგამოცხადებულმა „ალანიის ეპარქიამ“ დაარსებისთანავე ფართო ანტიქართული საეკლესიო და პოლიტიკური მუშაობა გაშალა მრევლში; მიმდინარეობდა ქართული საეკლესიო კულტურის ძეგლების მისაკუთრების, მათი ოსურ წარმომავლობასთან კავშირისა და ხუროთმოძღვრული ძეგლების გადაკეთების აქტიური პროცესი².

საქართველოს მართლმადიდებელი საპატრიარქოს ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის ეროვნებით ქართველი სამღვდელოების უმეტესობა დევნილია და ვერ მსახურობს. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მხოლოდ რამდენიმე ქართველი სასულიერო პირი, რამდენიმე ტაძარი და ერთი დედათა მონასტერი მოქმედებს და ისიც – მხოლოდ ახალგორის რაიონში; ესენია: ახალგორის ღვთისმშობლის მონასტრის ეკლესია, ლარგვისის წმ. თეოდორე ტირონის მონასტრის ეკლესია (მე-6 – მე-8 ს.ს.), მოსაბრუნის ღვთისმშობლის ეკლესია (მე-8-მე-9 ს.ს.), წირქოლის ღვთისმშობლის (მე-9 ს.) და წირქოლის წმ. გიორგის (გვიანი შუა საუკუნეები) ეკლესიები; მოქმედებს ერთადერთი – იკოთის წმ. ბერი ალექსის მონასტერი (მე-18 ს.). ახალგორის რაიონში დევნილი, იქ მცხოვრები ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის მღვდელმთავარი, მიტროპოლიტი ისაია და მონასტრის წევრები, სიცოცხლის რისკის ფასად, ცდილობენ განადგურებისაგან დაიცვან იქ არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. მათივე ძალისხმევით, მოხერხდა დანგრევის პირას მყოფი ხოფას მონასტრის მთავარი ეკლესიის (მე-13 ს.) გადახურვა.

ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში, ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილი ეკლესია-მონასტრების თვითნებური რესტავრაციის, მათ არქიტექტურაში უხეში ჩარევისა და გადაკეთების მხოლოდ მცირე ნაწილია:

2018 წელი:

1. თიღვას წმ. ჯვრის ეკლესიაში (ძველი დაყოფით, ზნაურის რაიონი) განხორციელდა უკანონო სამშენებლო სამუშაოები. ადგილობრივი მოსახლეობისათვის ცნობილია, რომ მსგავსი ცვლილებების განხორციელება სამომავლოდაც იგეგმება. აქ უკანონო მსახურებას ადავლენენ თვითადიარებული „ალანიის ეპარქიის“ მღვდელმსახურები.

2. უკანონო სამშენებლო სამუშაოები განხორციელდა სოფ. წუნარის (ახლა „ხეთაგუროვი“, ძველი დაყოფით ცხინვალის რაიონი) მე-14 საუკუნის ჯვარგუმბათოვან ეკლესიაშიც. მანამდე საკუთრებელი რუსული სტილით მოიხატა, რელიეფური გამოსახულებებით შემკული ძველი, ქვის იკონოსტასი კი თეთრ-ვარდისფრად გადაიღება. ამ ეკლესიაშიც უკანონოდ მსახურობენ თვითადიარებული „ალანიის ეპარქიის“ მღვდელმსახურები.

2019 წელი:

1. ზღუდერის წმ. გიორგის ეკლესიაში ჯერ ინტერიერი ერთიანად მოიხატა რუსული სტილის მხატვრობით, შემდეგ აიგო ბეტონის არატრადიციული ფორმის კანკელი, იატაკზე და-

¹ ქ. პავლიაშვილი „ალანიის ეპარქიის ე.წ. „ალანიის ეპარქიის“ საეკლესიო პრობლემა – წარმომშობის მიზეზები და მოსალოდნელი შედეგები.“

<http://patriarchate.ge/wp-content/uploads/2018/07/%E1%83%94.%E1%83%AC.%E2%80%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%E2%80%9C%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9D-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%90.docx>

² იქვე, გვ.5

იგო მეტლახის ფილები და გაკეთდა ტაძრამდე მისასვლელი კიბე, რითიც საფრთხე შეექმნა ისტორიულ არქეოლოგიას. აღვნიშნავთ, რომ ზღუდერის წმ. გიორგის ეკლესია მდებარეობს (ძველი, დაყოფით) ცხინვალის რაიონში. დარბაზული ეკლესია განეკუთვნება მე-17 საუკუნეს და აგებულია ქართლის მეფე ვახტანგ V მეუღლის, მარიამის მიერ. ტაძრის აგებისა და ეტიტორის შესახებ ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე არსებული ქართული ასომთავრული წარწერა გვამცნობს. ამ ეკლესიაშიც უკანონო მსახურებას ადავლენენ თვითგამოცხადებული „ალანის ეპარქიის“ მღვდელმსახურები.

2. უკანონო სამუშაოები განხორციელდა, ასევე, ისტორიული გერის წმ. გიორგის ეკლესიაში, რომელიც მდებარეობს, ძველი დაყოფით, ცხინვალის რაიონში. ეკლესიას მოანგრის დასავლეთ კეზზე აღმართული სამრეკლო. დარბაზული ეკლესია მე-14-მე-15 საუკუნეებშია აგებული. აქაც უკანონო მსახურებას ადავლენენ თვითადიარებული „ალანის ეპარქიის“ მღვდელმსახურები.

ყველა ამ სამუშაოს ჩატარების ნებართვას ადგილობრივი, თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება უკანონოდ გასცემს. ამასთანავე, არ არსებობს წინასწარი კვლევა და შემდგომი პროექტი, რასაც, როგორც წესი, ეფუძნება რესტავრაცია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სამუშაოებს არაპროფესიონალი ხელოსნები ასრულებენ, რომელთაც შესაბამისი (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე მუშაობის) გამოცდილება არ აქვთ, რაც აისახება კიდეც შესრულებული სამუშაოს ხარისხზე.

ბოლო პერიოდში ცნობილი გახდა, რომ უკანონო სამშენებლო სამუშაოები კიდეც ერთ, ცხინვალის წმინდა გიორგის ეკლესიაში (წითელი ეკლესია) იგეგმება.¹ ხსენებული ტაძარი საომარი მოქმედებების დროს ძლიერ დაზიანდა და სამშენებლო სამუშაოების ჩატარების შემთხვევაში, არსებობს დიდი ალბათობა, რომ ტაძარს დაეკარგოს პირვანდელი სახე და წაიშალოს ქართული ისტორიული კვალი.

უკანონო, უდიერი და არაპროფესიულად ჩატარებული სამშენებლო სამუშაოების შედეგად საფრთხე ექმნება ისტორიულ ძეგლს, ნადგურდება და იკარგება არტეფაქტები. ახალგორი-ცხინვალის, ახალგორი-იკოთის საავტომობილო გზის გაყვანისას (2014-2018 წ.წ.), თვითმხილველთა მონათხრობით, აღმოჩნდა არქეოლოგიური არტეფაქტები, რომელთა რაობა და ადგილსამყოფელი ამჟამად უცნობია. ოკუპირებულ ახალგორში მცხოვრებმა პირმა საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოიტანა საკუთარ კარ-მიდამოში ნაპოვნი ბრინჯაოს ფიგურა, რომელიც შეიძინა ღვინის კომპანია „მატო მუხრანმა“ და 2018 წლის 30 სექტემბერს საჩუქრად გადასცა საქართველოს ეროვნულ მუზეუმს. ზოგადად კი, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მძვინვარებს შავი არქეოლოგია და ამ დამანგრეველ პროცესს გამკონტროლებელი არ ჰყავს, ისევე, როგორც უკანონო რესტავრაციას. ცხინვალის რეგიონში თვლიან, რომ კანონიერად მოქმედებენ, იმის მიუხედავად, რომ ძეგლების რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ყველანაირი საერთაშორისო დადგენილება დარღვეულია.

აღსანიშნავია, რომ ცხინვალის რეგიონის ოკუპაციის შემდეგ, ვერც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობის მონიტორინგი ევალება, ვერ შედის ოკუპირებულ ტერიტორიაზე. თავის პირდაპირ მოვალეობას ვერ ასრულებენ: იუნესკო (UNESCO), ლურჯი ფარი (BLUE SHIELD), იკომი (ICOM) და იკომოსი (ICOMOS).

¹ <https://south-ossetia.info/novyj-kupol-ukrasil-xram-proroka-ioanna-krestitelya/>

1.1.2. ოკუპირებული აფხაზეთის ა.რ. (2018-2019 წწ)

ოკუპირებულ აფხაზეთის ა. რ.-ში რელიგიური კუთხით უმძიმესი მდგომარეობაა. ადგილობრივი ქართული მოსახლეობა აღნიშნული ტერიტორიის უდიდესი ნაწილიდან გამოდევნილია და არც ერთ ქართულ მართლმადიდებლურ ტაძარში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე არ მიმდინარეობს.

სხვადასხვა წყაროს მიხედვით, გალის რაიონის ტერიტორიაზე, 16 000 ქართველი ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივმა ქართველებმა რამდენიმე ეკლესია აღადგინეს, ოკუპირებული აფხაზეთის არც ერთ მართლმადიდებლურ ტაძარში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე არ აღევლინება. გალის ქართულ მოსახლეობას ესაჭიროება ქართველი სასულიერო პირი, რადგან თავიანთი რელიგიური უფლებების განსახორციელებლად, განსაკუთრებით დიდ რელიგიურ დღესასწაულებზე, ისინი ზუგდიდში გადადიან და ღვთისმსახურებას იქ ესწრებიან. ეს კი ხშირად, დიდ საფრთხეებთანაა დაკავშირებული; და ეს მაშინ, როდესაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს აფხაზეთის ეპარქიის სასულიერო დასი მზადაა გალში გადასასვლელად და ღვთისმსახურების აღსასრულებლად.

გალის რაიონში არ არის ქართული სკოლა. ქართულ ენაზე განათლების მისაღებად და მშობლიური ენის შესწავლას, ქართველი მოსახლეობა იძულებულია, დატოვოს საკუთარი სახლ-კარი და საცხოვრებლად ზუგდიდში გადავიდეს.

მიმდინარე წლებში აღინიშნა ქართველი მართლმადიდებელი მრევლისა და სასულიერო პირების გადაადგილების შეზღუდვის მრავალი ფაქტი. ქართველ მრევლს და საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებულ ქართველ სასულიერო პირებს არ ეძლევათ გამყოფ ხაზს იქით მოქცეულ ტაძრებში ღვთისმსახურებაზე დასწრების, ღვთისმსახურების აღსრულების საშუალება. ამგვარი მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია აქტიურ ნაბიჯებს დგამს დიალოგის გასაძლიერებლად.

1.2. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს აქტივობები ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, ყველა ოფიციალურ თუ არაოფიციალურ ვიზიტსა და შეხვედრაზე, ხაზს უსვამს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რელიგიის თავისუფლების კუთხით არსებულ უმძიმეს მდგომარეობას.

რელიგიის სააგენტოს ფოტოალბომში, „რელიგიები საქართველოში“, განსაკუთრებული ადგილი დაეთმო ოკუპაციის თემას, სადაც აისახა ქართული მართლმადიდებლური საკულტო ნაგებობების უმძიმესი მდგომარეობა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ფოტოალბომის პრეზენტაციის დროს ნაჩვენები იქნა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ქართული მართლმადიდებლური ტაძრების ამსახველი ვიდეო კადრები, რომელიც DVD დისკის სახით დაურიგდათ მოწვეულ სტუმრებსა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ სააგენტო უახლოეს მომავალში გეგმავს ახალ პროექტს, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობის აღწერასა და პუბლიკაციას.

ოკუპაციის თემას შეეხო რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ 2019 წელს ჩატარებული რიგით IV ინტერრელიგიური კონფერენცია თემაზე: „რელიგიები საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე“. კონფერენციამ მიიღო დეკლარაცია, სადაც აღნიშნულია: „ვგმობთ, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მშვიდობიანი მოსახლეობის გატაცებასა და სიცოცხლის მოსპობას; საკულტო ნაგებობების ეთნიკურ-ისტორიული კვალის წაშლის მიზნით უხეში გადაკეთების, დახურვის ან განადგურების ყველა ფაქტს; ვემიჯნებით, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების შეზღუდვის გამოვლინებებს და მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესს¹“.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, ყველა ანგარიშში, მაქსიმალურად უსვამს ხაზს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რელიგიის თავისუფლების კუთხით არსებულ ვითარებას და ამ პრობლემას უბრუნდება ყოველწლიურ ანგარიშებში, აღწერს რა აღმსარებლობით მართლმადიდებელი, ეროვნებით ქართველი სასულიერო პირების, მრევლისა და ქართული მართლმადიდებლური საკულტო ნაგებობების უმძიმეს მდგომარეობას.

1.3. ეროვნებით ქართველი და აღმსარებლობით მართლმადიდებელი სასულიერო პირების გადაადგილების შეზღუდვა და შევიწროება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ეროვნებით ქართველი და აღმსარებლობით მართლმადიდებელი სასულიერო პირების გადაადგილება მთლიანად აკრძალულია ოკუპირებული აფხაზეთის ა.რ.-სა და ცხინვალის რეგიონში. გადაადგილება დაშვებულია მხოლოდ ახალგორში, ისიც სასტიკი შეზღუდვებისა და შევიწროების პირობებში.

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე-ფაქტო ადმინისტრაცია, ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე, კეტავს ე. წ. გამშვებ პუნქტებს, რითიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადასვლას და უკან დაბრუნებას დიდი ხნით უზღუდავს ქართველ მართლმადიდებელ სასულიერო პირებს. შესაბამისად, მათ არ ეძლევათ ქართველი მრევლისათვის მშობლიურ ენაზე ღვთისმსახურების ჩატარების საშუალება. 2019 წლის სექტემბერში დაფიქსირდა ფაქტი, როდესაც სეპარატისტებმა და ოკუპანტებმა რამდენიმე თვით დაკეტეს ე. წ. გამშვები პუნქტი, რის გამოც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფი რამდენიმე ქართველი მართლმადიდებელი სასულიერო პირი ჩარჩა გამყოფ ხაზს იქით, ხოლო ცხინვალის ეპარქიის მღვდელმთავარი, მიტროპოლიტი ისაია, სხვა სასულიერო პირებთან ერთად, ვეღარ გადავიდა ოკუპირებულ ნაწილში.

სამწუხაროდ, სეპარატისტების მხრიდან, არა თუ არ ხდება აღნიშნული პრობლემების მოგვარება, არამედ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე-ფაქტო ადმინისტრაციის რელიგიის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი სონია ხუბაევა შეურაცხმყოფელი ეპითეტებით მოიხსენიებს საქართველოს მართლმადიდებელ პატრიარქს, მას „ფაშისტს“, ხოლო ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედ საქართველოს საპატრიარქოს დედათა მონასტრის ფუნქციონირებასა და იქ მოღვაწე სასულიერო პირების ყოფნას უკანონოს უწოდებს². გასულ წლებ-

¹ <https://religion.gov.ge/deklaraciebi>

² <http://cominf.org/node/1166526630>

ში სეპარატისტული სახელისუფლებლო მედია წერდა, რომ ქართველ მღვდელმსახურებს წარედგინათ „ალანიის ეპარქიის“ იურისდიქციასთან მიერთების წინადადება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ტერიტორია უნდა დაეტოვებინათ“.¹ 2017 წელს, ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაფიქსირდა შემთხვევა, როცა ეროვნებით ქართველი და აღმსარებლობით მართლმადიდებელი მამაკაცის დაკავება იმ დროს მოხდა, როდესაც იგი შვილის დაბადების დღისა და ქრისტეშობის აღსანიშნავად, სალოცავში სანთლების დასანთებად იყო წასული.² აღნიშნული ფაქტი აისახა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშებში.³

1.4. ოკუპირებულ ტერიტორიებზე რელიგიის თავისუფლების მხრივ არსებული ვითარების ზოგადი აღწერა საანგარიშო პერიოდამდე

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო ყველა ანგარიშში აღწერს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რელიგიური თავისუფლების, ადამიანის რელიგიური უფლებების დაცვის კუთხით არსებულ ურთულეს მდგომარეობას, რითიც კიდევ ერთხელ წარმოაჩენს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე აღმსარებლობით მართლმადიდებელი და ეროვნებით ქართველი მრევლისა და სასულიერო პირების, ასევე, ქართული მართლმადიდებლური საკულტო ნაგებობების მიმართ განხორციელებულ უკანონო და სასტიკ მოპყრობას.

1.4.1. ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა

ოკუპირებულ აფხაზეთის ა. რ.-ში, ოკუპაციის პერიოდში, სისტემატურ ხასიათს ატარებს საკულტო ნაგებობების გადაკეთების, დანგრევის და ეროვნებით ქართველთა და აღმსარებლობით მართლმადიდებელთა რელიგიური თავისუფლების შეზღუდვის უამრავი ფაქტი, მაგალითად:

2009 წელს ადგილი ჰქონდა გალის ქართულენოვანი მოსახლეობის დაშინებისა და მათი სიწმინდეების შეზღუდვის მცდელობას. როგორც „აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის სამეგრელო-ზემო სვანეთის წარმომადგენლობის უფროსის მოადგილემ, თორნიკე კილანავამ განაცხადა: „კონფლიქტის ზონაში მცხოვრებმა ქართველობამ სოფლების შესასვლელსა და ცენტრებში ჯვრების აღმართვა მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც ზემო აფხაზეთიდან სასულიერო პირები გამოაძევეს და ქართულად წირვა შეწყდა. სწორედ ამ ჯვრებთან ატარებდა ქართული მოსახლეობა საეკლესიო რიტუალებს, ოკუპანტებმა მათ ამის საშუალება ადარ მისცეს, მოსახლეობა დაარბიეს, ჯვრები გადათელეს და მოსახლეობას, მსგავსი ფაქტის განმეორების შემთხვევაში, უფრო სასტიკად გასწორებით დაემუქრნენ.“⁴

¹ <https://www.amerikiskhma.com/a/nikozi-georgian-services/3884570.html>

² „On 7 th January 2017, along the occupation line with Tskhinvali region, the Russian FSB officers abducted a local resident from the adjacent village. The local resident was abducted when approaching local church in order to celebrate Orthodox Christmas Day.“

<http://www.mfa.gov.ge/getattachment/946375d2-9770-4b28-8364-04bb4bda4659/First-MFA-report-for-2017-docx.pdf.aspx>

³ **International Religious Freedom Report for 2015** <https://2009-2017.state.gov/documents/organization/256403.pdf>
SARI reported that although GOC Metropolitan of Nikozi and Tskhinvali Diocese Isaiah Chanturia continued his work in South Ossetia, he did not leave the diocese fearing he would be unable to return to fulfill his religious duties.

⁴ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=11115&lang=geo>

იმავე წელს, გალის რაიონიდან გამოაძევეს ქართველი სასულიერო პირები. ამ მოვლენამ ასახვა ჰპოვა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშშიც: „2009 წლის მარტში, აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდლებს ჯაშუშობაში დასდო ბრალი და 2009 წლის 4 აპრილს ისინი აფხაზეთიდან განდევნა. 2009 წლის აპრილის დასაწყისში, აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ კოდორის ხეობის სოფელ აჟარის წმინდა გიორგის მონასტრიდან გააძევა ოთხი ქართველი ბერი და სამი მონაზონი, იმ მიზეზით, რომ ისინი კოდორის ხეობაში აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას არ სცნობდნენ. პრესაში გამოქვეყნებული განცხადებების მიხედვით, ბერები და მონაზვნები სოხუმში წაიყვანეს, დაკითხეს და აიძულებდნენ აფხაზური „პასპორტების“ აღებას. ბერებმა და მონაზვნებმა ამ დოკუმენტების აღებაზე უარი განაცხადეს და აღნიშნეს, რომ ისინი მხოლოდ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას ემსახურებოდნენ. ამის შემდეგ, ისინი აფხაზეთიდან გააძევეს. ბერებმა ადმინისტრაციული საზღვარი ენგურის ხიდზე გადაკვეთეს და საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადავიდნენ, რა დროსაც რუსი ჯარისკაცები ხუთი წუთის განმავლობაში ჰაერში ისროდნენ, სავარაუდოდ, ხიდზე ბერების მომლოდინე ხალხის დასამინებლად.“¹

არსებული პრობლემები არც შემდგომში აღმოფხვრილა. ოკუპირებულ ტერიტორიებზე კვლავ აქტუალურია რელიგიური საქმიანობის შეზღუდვა, განსაკუთრებით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებისა და მრევლის მიმართ; და ეს მაშინ, როდესაც იქ უპრობლემოდ გადადიან სომეხთა სამოციქულო, კათოლიკური და ევანგელურ-ლუთერული ეკლესიების წარმომადგენლები, რაც, რასაკვირველია, სრულად შეესაბამება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს. ჩვენს აღშფოთებას იწვევს მხოლოდ ის ფაქტი, რომ ამგვარი ელემენტარული უფლებით ვერ სარგებლობენ მხოლოდ ეთნიკურად ქართველი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი სასულიერო პირები.

1.4.2. ქართული საკულტო ნაგებობების უმძიმესი მდგომარეობა

ოკუპირებულ აფხაზეთის ა.რ.-ში

ოკუპირებულ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიებზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებში (ახალგორის რაიონის რამდენიმე ტაძრის გარდა), სადაც ვერ შედიან ქართველი სასულიერო პირები, შეინიშნება ეკლესიების პირვანდელი იერ-სახის შეცვლის, თვითნებური გადაკეთებისა და დაზიანების მრავალი ფაქტი.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის მხრიდან აფხაზეთში დღემდე არ მომხდარა 1954 წელს მიღებული ჰააგის კონვენციის (შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურული ფასეულობების დაცვის შესახებ) შესაბამისი მუხლებისა და ოქმების გააქტიურება, რაც აფხაზეთში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის ერთ-ერთი გარანტი იქნებოდა. 2010 წლის 16 ოქტომბერს, ხელი მოეწერა თვითგამოცხადებული „აფხაზეთის რესპუბლიკისა“ და რუსეთის ფედერაციის კულტურის სამინისტროებს შორის „კულტურული და ისტორიული ძეგლების სახელმწიფო დაცვის, შესწავლისა და პოპულარიზაციის სფეროში შეთანხმებას. თუმცა, რესტავრაციის ნაცვლად, მიზანმიმართულად დაიწყო ქართული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ხელყოფა.

¹ <https://2009-2017.state.gov/documents/organization/132827.pdf>

თვითმხილველების თქმით, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულმა ეკლესია-მონასტრებმა, რომლებსაც უკანასკნელ წლებში ე. წ. რესტავრაცია ჩაუტარდათ, თითქმის დაკარგეს პირვანდელი სახე, რაც პირდაპირ არღვევს ვენეციის ქარტიის მე-4 და მე-5 პარაგრაფებს, რომლებშიც ვკითხულობთ: პარაგრაფი 4. „ძეგლთა დაცვა საჭიროებს მათ გამუდმებით მოვლას“, პარაგრაფი 5. „ძეგლთა შენარჩუნებას ყოველთვის ხელს უნდა უწყობდეს მისი გამოყენება საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, დაუშვებელია ამის გამო ძეგლთა სტრუქტურისა და გარეგნობის შეცვლა“.

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლების სიაში 1535 ობიექტია. ქვემოთ მოცემულია ქართული საკულტო ნაგებობებისა და კულტურული ძეგლების არასრული სია, რომლებზეც, ქართული კვალის წაშლის მიზნით, ვანდალური ქმედებები განხორციელდა და სასწრაფო, პროფესიონალურ რესტავრაციას საჭიროებენ:

1. წმინდა გიორგის სახელობის ილორის ტაძარი (მე-11 ს.);
2. სიმონ კანანელის სახელობის ეკლესია, ახალ ათონში (მე-9-მე-10 ს.ს.);
3. სოფელ ბესლახუბის ეკლესია (მე-5 ს.);
4. კომანის მონასტერი (მე-11 ს.);
5. დრანდის გუმბათიანი ეკლესია (მე-6-მე-7 ს.ს.);
6. მოქვის მონასტერი (მე-10 ს.);
7. თამარის ხიდი (მე-12 ს.);
8. ბედიის მონასტერი (მე-10 ს.);
9. ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი (მე-10 ს.);
10. ლაშქენდარის ტაძარი (მე-10 – მე-11 ს.ს.);
11. ბზიფის ხურთიმოდვრული კომპლექსი (მე-9 მე-10 ს.ს.);
12. ბიჭვინთის საეპისკოპოსო ტაძარი (მე-10 ს.);
13. ბესლეთის ისტორიული ხიდი (მე-10 -მე-11 ს.ს.);
14. სოხუმის ბაგრატის ციხე (მე-10 -მე-11 ს.ს.);
15. აილაგა-აბიყუს ეკლესია (მე-8 -მე-9 ს.ს.);
16. ცანდრიფშის სამნავიანი ბაზილიკა (მე-6 ს.);
17. მიუსერას ტაძარი (მე-8-მე-9 ს.ს.);
18. წებელდის ციხე (იგივე ციბელიუმი) (მე-6 ს.);
19. ოთხარას კომპლექსი (ადრე შუა საუკუნეები);
20. კელასურის არქიტექტურული კომპლექსი (მე-11- მე-14 ს.ს.);
21. ამბარას ტაძარი (მე-7-მე-8 ს.ს.);
22. ანაკოფიის ტაძარი (მე-8 ს.).

2008 წლამდე კოდორის ხეობაში არსებობდა და ფუნქციონირებდა 2 მამათა და 1 დედათა მონასტერი, რომლის სასულიერო პირები (სულ 15-მდე ადამიანი) 2008 წლის ომის შემდეგ მონასტრებიდან გამოაძევეს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა გალის რაიონში, სადაც ეთნიკურად ქართველი ქრისტიანები სულიერი მოძღვრის გარეშე არიან დარჩენილები.

1.4.3. ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი

ოკუპირებულ აფხაზეთის ა. რ.-ს მსგავსად, მძიმე მდგომარეობაა ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ნაწილშიც, სადაც უმრავლეს ქართულ მართლმადიდებლურ ტაძარში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე არ მიმდინარეობს. სასულიერო პირთა უმეტესობა ტერიტორიიდან გამოდევნილია, დარჩენილი სასულიერო პირები კი უკიდურეს შევიწროვებას განიცდიან. უმძიმეს მდგომარეობაშია ქართული საკულტო ნაგებობებიც. გამყოფი ხაზის მეორე მხარეს მცხოვრებ ქართველ მრევლს ხშირად უზღუდება უფლება, მოინახულოს ახლობელთა და ოჯახის წევრთა სასაფლაოები და დაესწროს ღვთისმსახურებას ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ტაძრებში.

1.4.4. ქართული საკულტო ნაგებობების უმძიმესი მდგომარეობა ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში

ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში შემორჩენილი ყველა ეკლესია (რაოდენობა რამდენიმე ასეულს აღწევს, მათ რიცხვშია ციხე-კოშკებიც) ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლია. ოკუპაციის შემდგომ, ეკლესია-მონასტრების გადაკეთების მიზნით, რეგიონში სისტემატურად მიმდინარეობს უკანონო სამშენებლო სამუშაოები.

თვითაღიარებული ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე მონიტორინგი თითქმის ვერ ხორციელდება და დარჩენილი კულტურული მემკვიდრეობის მცირე ნაწილის რეალური მდგომარეობა მხოლოდ მიახლოებით არის ცნობილი, იქ არსებული ძეგლების უმეტესობის ბედი კი უცნობია. ნათელია, რომ ყველა იქ დარჩენილი ისტორიული ძეგლი დაუცველია და საფრთხის ქვეშაა.

აღნიშნული მძიმე რეალობის გათვალისწინებით, მოგვყავს ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის იმ ქართული საკულტო ნაგებობებისა და კულტურული ძეგლების არასრული სია, რომლებზეც ქართული კვალის წამლის მიზნით, ვანდალური ქმედებები განხორციელდა და სასწრაფო, პროფესიონალურ რესტავრაციას საჭიროებენ:

1. ნიქოზის სამონასტრო კომპლექსი (მე -11 ს.);
2. იკორთას კომპლექსში შემავალი მთავარანგელოზთა მთავარი ეკლესია (მე-12 ს.);
3. ქსნის ერისთავთა რეზიდენცია (გვიანი შუა საუკუნეები);
4. ცხინვალის კავთის წმ. გიორგის ეკლესია (მე -10 -მე-11 ს.ს.);
5. თირის მონასტერი (მე-13 ს.);

6. გომართას წმ. გიორგის ეკლესია (მე-16 ს.);
7. აჩაბეთის ციხე (მე-16 ს.);
8. გერის წმ. გიორგის ეკლესია (გვიანი შუა საუკუნეები);
9. წუნარის (ხეთაგუროვის) ღვთისმშობლის ეკლესია (მე-14 ს.);
10. ზღუდერის წმ. გიორგის ეკლესია (მე-17 ს.);
11. წმინდა გიორგის ეკლესია ცხინვალში (მე-10 ს.);
12. სვერის წმ. გიორგის ხის ეკლესია (მე-19 ს.);
13. ქემერთის მთავარანგელოზთა ეკლესია;
14. თამარაშენში, მწერლისა და მთარგმნელის, ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმი
(მე-18-მე-19 ს.ს.), ასევე, ქურთაში გიორგი მაჩაბლის სახლი (მე-18-მე-19 ს.ს.);
15. ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარი ცხინვალში (მე-18 ს.);
16. თიღვის ტაძარი (მე-12 ს.);
17. გვერდას ეკლესია ზნაურის რაიონში (შუა საუკუნეები);
18. სოფელ დისევის ძელიცხოველის ეკლესია (მე-10 ს.);
19. კულბითის ღვთისმშობლის ეკლესია (მე-14 ს.);
20. საეკლესიო ნაგებობების მსგავსად, დანგრევის პირასაა ბელოთის (მე-10 ს.) ქარჩოხის (მე-9 ს.), **ვანათის** (მე-16 ს.), კეხვის (მე- 16 ს.), **ძადინას** (მე-17 ს.) და სხვა ასამდე ციხე-კოშკი;
21. ყანჩაეთი – კაბენის ღვთისმშობლის სამონასტრო კომპლექსი (მე-9 ს.);
22. მთავარანგელოზთა ეკლესია (გვიანი შუა საუკუნეები);
23. წმ. გიორგის ეკლესია და კოშკი (გვიანი შუა საუკუნეები);
24. წირქოლი – **ციხე** (მე-9 ს.) ღვთისმშობლის ეკლესია (მე-9 ს.), წმ. გიორგის ეკლესია, ასევე, წმ. გიორგის სამონასტრო კომპლექსი და კოშკი (სამივე – გვიანი შუა საუკუნეები), წმ. მარინეს ეკლესია (მე-19 ს.);
25. დარწმის წმ. გიორგის ორი ეკლესია (მე-10- მე-14 ს.ს.);
26. ქემერთის წმ. გიორგის ეკლესია (მე-8 ს.), ასევე, სამი კოშკი;
27. ხეითი – წმ. საბას მონასტერი (მე-10 ს.), ღვთისმშობლის, ჯვარპატიოსანისა და ძელიცხოველის ეკლესიები (სამივე მე-13-მე-14 ს.ს.), მაცხოვრის ეკლესია და კოშკი (ორივე მე-17- მე-18 ს.ს.);

28. მუდმივად საფრთხის ქვეშაა დაბა ახალგორში მდებარე ქსნის ხეობის ისტორიულ – არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი, სადაც 4 594 ექსპონატია დაცული;
29. ახალგორის რაიონში, არმაზის წმინდა გიორგის ეკლესია (მე-9 ს.);
30. ლარგვისის მონასტერი (მე-6 -მე-8 ს.ს.);
31. ცხავატის ღვთისმშობლის სამონასტრო კომპლექსი (მე-9 -მე-13 ს.ს.);
32. დორეთკარის წმ. ბარბარეს ეკლესია (მე-8- მე-14 ს.ს.);
33. საბაწმინდის მონასტერი (მე-10 ს.).

ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული ფაქტობრივი მასალის მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით აფხაზეთის ა.რ.-ის მთავრობას, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს საპატრიარქოს.

საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა, სადაც მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა – 84% მართლმადიდებელი ქრისტიანია, ხოლო რელიგიურ უმცირესობათა შორის ყველაზე ძველი ებრაული თემია, რომელთანაც ქართველებს უნიკალური, 26 საუკუნოვანი ურთიერთობა გვაკავშირებს, რამაც უკვე მიიღო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. საქართველოს ისლამური თემი მოსახლეობის 10%-ია, საქართველოს სომხური ეკლესიის მრევლი კი დაახლოებით 3%-ს შეადგენს. საქართველოში ასევე ცხოვრობენ კათოლიკე, პროტესტანტი, ეზიდის და სხვა თემები.

საქართველოში სულ 2 518 მოქმედი საკულტო ნაგებობაა. მათ შორის – 2 001 მართლმადიდებლურია, რაც იმას ნიშნავს, რომ 1 548 მართლმადიდებელზე – 1 საკულტო ნაგებობა მოდის. მუსლიმ თემს აქვს 277 მეჩეთი, ანუ 1 439 მორწმუნეზე – 1 მეჩეთი. სომხურ თემს – 58 სალოცავი. ებრაული თემი 20 სინაგოგაში ლოცულობს. სულ, საქართველოს ისტორიული რელიგიების – იუდეური, მუსლიმი, სომხური, კათოლიკური და ეზიდური თემის მრევლის საერთო ოდენობა – 536 921-ს შეადგენს. მათი მოქმედი საკულტო ნაგებობების საერთო რაოდენობაა – 386, რაც იმას ნიშნავს, რომ 1 391 მორწმუნეზე – 1 მოქმედი საკულტო ნაგებობა მოდის. რაც შეეხება სხვა, მცირერიცხოვან კონფესიებს: მაგ. საქართველოში ცხოვრობს 12 395 იეჰოვას მოწმე და მოქმედებს 89 საკულტო ნაგებობა, ანუ – 139 ადამიანზე – 1 მოქმედი საკულტო ნაგებობა მოდის. ამ ფონზე მით უფრო შემადრწუნებელია მიზანმიმართული განადგურების, ქართული კვალის წაშლის ის პოლიტიკა, რაც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართული მართლმადიდებლური ტაძრების მიმართ ხორციელდება.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე რელიგიის თავისუფლების მხრივ არსებული ვითარება უმძიმესია. მიმდინარეობს ქართველ მართლმადიდებელთა ეთნიკურ-რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციისა და სეგრეგაციის მძიმე პროცესი. ეს ყველაფერი კი საჭიროებს მეგობარი ქვეყნებისა და ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების კიდევ უფრო სწრაფ და ქმედით რეაგირებას, რათა დაცულ იქნეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ეროვნებით ქართველი და აღმსარებლობით მართლმა-

დიდებული მოსახლეობის ყველა ძირითადი უფლება, ასევე საქართველოს მართლმადიდებელ სასულიერო პირებს მიეცეთ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართულ ენაზე ღვთისმსახურების ჩატარების უფლება და დანგრევასა და გადაკეთებას გადაურჩეს ასობით ქართული, ისტორიული, საკულტო და კულტურული ძეგლი, რომელთა უმეტესობა უძველესია და საკუთარი, უნიკალური ადგილი აქვთ არა მხოლოდ საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობაში.

2. ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2018-2020 წ.წ.

სახელმწიფო ხელმძღვანელობს „ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია“ და ამ სტრატეგიის შესაბამისი, წლების მიხედვით გაწერილი, „ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმით“. სამოქმედო გეგმის ფარგლებში, სააგენტო სისტემატურად ატარებს ღონისძიებებს ტოლერანტობისა და არადისკრიმინაციული გარემოს მხარდასაჭერად, ასევე, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უზრუნველსაყოფად, საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად.

„ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ 2015 წლიდან დაიწყო ტრენინგები, რომლებიც რამდენიმე წელია, გრძელდება. საანგარიშო პერიოდში აღვნიშნავთ შემდეგ ტრენინგებს:

2.1. ტრენინგები სტუდენტებისათვის

ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმით (2018-2020 წ.წ.) გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში, რომელიც მოიცავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას რელიგიის თავისუფლებისა და ტოლერანტობის კუთხით, სააგენტომ ჩაატარა ტრენინგების ციკლი საქართველოს უნივერსიტეტებში. სემინარები მოისმინა 1000-ზე მეტმა სტუდენტმა.

კერძოდ, ტრენინგები ჩატარდა:

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში – 11.10.2018 წ.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში – 17.10.2018 წ.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში – 05.11.2018 წ.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში – 07.11.2018 წ.

ქუთაისის აკაკი წერეთელის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში – 27.11.2018 წ.

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში – 04.12.2018 წ.

ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში – 29.05.2019 წ.

2.2. ტრენინგები მასმედიის წარმომადგენლებისათვის

ამავე სამოქმედო გეგმის ფარგლებში, რელიგიის თავისუფლების, ტოლერანტობის, თანასწორობისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, სააგენტომ ტრენინგები ჩაატარა საქართველოში მოქმედი ტელევიზიების, რადიოს, გაზეთებისა და საინფორმაციო სააგენტოების წარმომადგენლებისათვის. 2018 წელს სულ დატრენინგდა მასმედიის რამდენიმე ათეული წარმომადგენელი.

აღნიშნული ტრენინგები ჩატარდა:

თბილისში, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში – 27.06.2018 წ.

თბილისში, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში – 02.07.2018 წ.

თბილისში, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში – 04.07.2018 წ.

2.3. ტრენინგები სასულიერო პირებისათვის

რელიგიის თავისუფლების და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების კუთხით რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლების (სასულიერო პირების) ცნობიერების ამაღლების, ასევე, რელიგიური შემწყნარებლობისა და ტოლერანტობის კულტურის გაძლიერების მიზნით, სააგენტომ ჩაატარა ტრენინგები საქართველოს მასშტაბით. სემინარებს ესწრებოდნენ საქართველოში მოქმედი თითქმის ყველა რელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენელი, საერთო ჯამში – 770-ზე მეტი სასულიერო პირი.

სემინარები გაიმართა:

თბილისში – 19.06.2018 წ.

თბილისში – 26.06.2018 წ.

ბათუმში – 10.10.2018 წ.

ახალციხეში – 06.11.2018 წ.

ქუთაისში – 26.11.2018 წ.

გორში – 05.12.2018 წ.

ზუგდიდში – 30.05.2019 წ.

ყვარელში – 20.06.2019 წ.

3. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება რელიგიური შემწყნარებლობის მიმართულებით

3.1. ინტერრელიგიური კალენდარი და კალენდარი ბრაილის შრიფტით

2014 წლიდან შეიქმნა ევროპაში უნიკალური, ინტერრელიგიური კალენდრის პროექტი, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა რელიგიური თემების დღესასწაულთა თავმოყრას ერთი კალენდრის ფორმატში. პროექტის მიზანია, განსხვავებულ რელიგიურ ჯგუფებს შორის (ამჟამად 11 რელიგიური მიმდინარეობა), ურთიერთცნობადობის ამაღლება და ინტერრელიგიური კულტურის განვითარების ხელშეწყობა. მნიშვნელოვანია, რომ კალენდარი, 2014 წლიდან მოყოლებული, ყოველწლიურად ვრცელდება არა მხოლოდ რელიგიურ თემებში, არამედ, პრაქტიკულად, ყველა საჯარო უწყებაში, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს საჯარო მოხელეთა ცნობიერების ამაღლებას რელიგიური მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის მიმართულებით.

ინტერრელიგიური კალენდარი აერთიანებს თერთმეტი რელიგიური თემის – საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის, ებრაული, კათოლიკე, მუსლიმი, სომეხთა სამოციქულო, სულიერ ქრისტიან-მოლოკანთა, ეზიდის, ევანგელურ-ლუთერული, ბაპტისტური, ევანგელურ-პროტესტანტული თემებისა და სახარების რწმენის ეკლესიის რელიგიურ დღესასწაულებს.

2016 წელს შემუშავდა ინტერრელიგიური კალენდრის ახალი ფორმატი – კალენდარი ბრაილის შრიფტით უსინათლოთათვის, რომელიც, ასევე, ყოველწლიურად იბეჭდება. რელიგიის სააგენტო, ინტერრელიგიური კალენდრის ახალი ფორმატის შექმნით, იღებს სოციალურ პასუხისმგებლობას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ.

2018 და 2019 წლებშიც, ტრადიციულად, გამოიცა ხსენებული კალენდრები და აიტვირთა ელექტრონულად სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

3.2. პუბლიკაციები

სააგენტო სისტემატურად გამოსცემს პუბლიკაციებს რელიგიის თავისუფლების, რელიგიებისა და სახელმწიფოს ურთიერთობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში, გამოიცა სააგენტოს მიერ ჩატარებული ინტერრელიგიური კონფერენციების მასალები. 2018 და 2019 წლების ხსენებული კონფერენციები ძალზედ მნიშვნელოვანი და აქტუალური თემატიკით გამოირჩეოდნენ:

2018 წლის 17 ივლისს, ჩატარდა მე-3 ინტერრელიგიური კონფერენცია „ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის“, თემაზე: „**რელიგიების როლი საქართველოში 1918–2018 წ.წ.**“, სადაც საქართველოში მოღვაწე რელიგიური თემების ლიდერები მსჯელობდნენ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებიდან 100 წლის იუბილის მნიშვნელობასა და რელიგიების როლზე პოსტიმპერიულ საქართველოში.

2019 წელს კი მორიგი, მე-4 ინტერრელიგიური კონფერენცია მიეძღვნა არანაკლებ მნიშვნელოვან თემას: „**რელიგიები საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე**“, რომელიც შეეხო საქართველოს ისტორიულ, ევროპულ არჩევანსა და მომავალ განვითარებას. კონფერენციის მონაწილე რელიგიური ორგანიზაციების ლიდერებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას.

ინტერრელიგიური კონფერენციის მასალები გამოიცემა და ელექტრონულად იტვირთება რელიგიის სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე:

<https://religion.gov.ge/inter-religiuri-konferencia>

ამ გამოცემებით რელიგიის სააგენტომ გააგრძელა პუბლიკაციათა ტრადიცია, რომელთა შორის ხაზგასასმელია გასული წლების ნამუშევრები:

ა) სახელმძღვანელო – „სეკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი საჯარო სამსახურში“;

ბ) სერია – „რელიგია და სამართალი“;

ტომი I – „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები რელიგიის თავისუფლებაზე“, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-9 მუხლთან მიმართებაში (სულ 62 საქმე);

ტომი II – „გაეროს, ევროკავშირის, ეუთოს, ვენეციის კომისიისა და ოსლოს კოალიციის დოკუმენტები რელიგიის თავისუფლების შესახებ“;

ტომი III – „რუმინეთის, ბულგარეთის, ავსტრიის, ლატვიის, ლიეტუვის, ესტონეთის, მოლდოვას, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთისა და ბელორუსიის კანონმდებლობა რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შესახებ“.

ყველა დასახელებული გამოცემა ატვირთულია სააგენტოს ვებგვერდზე. <https://religion.gov.ge/publikaciebi>

რელიგიის სააგენტომ, კონრად ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობის მხარდაჭერით, 2016 წელს გამოსცა სახელმძღვანელო „სეკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი საჯარო სამსახურში“. (მითითებულ ბმულზე იხილეთ სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსია (<https://religion.gov.ge/publikaciebi/saxelmzrvanelo-sekularizmi-da-religiuri-neitraliteti-sajaro-samsaxursi>)

3.3. საქართველოში მოქმედი საკულტო ნაგებობების რუკა და რელიგიური რუკები

ინტერრელიგიური დიალოგის ფორმატში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ 2016 წელს დაიწყო ახალი პროექტი, „**რელიგიური რუკა**“. თავდაპირველად, შეიქმნა რელიგიური რუკის ორი ვარიანტი – რეგიონული და რაიონული, ხოლო შემდეგ მოქმედი საკულტო ნაგებობების რუკა.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საქართველოში მოქმედი საკულტო ნაგებობების რუკის პრეზენტაცია, რომელიც რელიგიური ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიქმნა.

საქართველოში მოქმედი საკულტო ნაგებობების რუკაზე დატანილია მოქმედი საკულტო ნაგებობების რაოდენობა – მუნიციპალიტეტების დონეზე და პროცენტული მაჩვენებლები – რეგიონების დონეზე, ასევე, საქართველოში არსებული უმრავლესი რელიგიური კონფესიების რიცხობრივი მონაცემები. არსებობს რუკის როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული ვერსია, რომელიც ხელმისაწვდომია სააგენტოს სპეციალურ ვებგვერდზე: <https://religion.gov.ge/cults/>

საკულტო ნაგებობების რუკა გახლავთ რელიგიის სააგენტოს პროექტის გაგრძელება. კერძოდ, გასულ წლებში გამოიცა რეგიონული და რაიონული რუკები, სადაც ასახულია მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობის რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლები. რელიგიის სააგენტოს საიტზე, სპეციალურად დათმობილ სივრცეში, 3D ფორმატში აიტვირთა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ისტორიული მნიშვნელობის მქონე 25-მდე საკულტო ნაგებობა, მათ შორის – მართლმადიდებლური, სომხურ-სამოციქულო, კათოლიკური, ევანგელურ-ლუთერული და ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესიები, ასევე მუსლიმური, იუდეური, ეზიდური საკულტო ნაგებობები. გამოიცა რელიგიური რუკების ნაბეჭდი ვერსია და შემუშავდა მათთვის სპეციალური ვებგვერდი.<https://religion.gov.ge/statmaps/>

3.4. ტოლერანტობის საერთაშორისო დღე

ტოლერანტობის დღესთან დაკავშირებით, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ დაამკვიდრა ტრადიცია, რომლის თანახმადაც, საქართველოში არსებული ერთ-ერთი რელიგიური თემი სხვა რელიგიური ორგანიზაციების ლიდერებსა და მრევლს მასპინძლობს.

2016 წლის 16 ნოემბერს, რელიგიურ თემებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მასპინძლობდა.

2017 წლის 16 ნოემბერს, მასპინძელი ქართველ ებრაელთა თემი იყო – მიღება დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმში შედგა.

2018 წლის 16 ნოემბერს, რელიგიურ ორგანიზაციებს ლათინ კათოლიკეთა ადმინისტრაციამ უმასპინძლა.

2019 წელს კი, ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული მიღება, რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის, საქართველოს მუსლიმთა სამმართველომ გამართა.

ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ტრადიციული შეხვედრები, რელიგიური შემწყნარებლობის ქართული კულტურის გამოვლინებად იქცა და იგი მომავალ წლებშიც გაგრძელდება.

3.5. გამოფენა – „რელიგიები საქართველოში“

2018 წელს, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, რელიგიის სააგენტომ მუზეუმთან ერთად, გამართა გამოფენა – „რელიგიები საქართველოში“. ექსპოზიციის მიზანი საქართველოში რელიგიური მრავალფეროვნების, შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის გარემოს განმტკიცება, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მათთვის განსხავებული რელიგიების შესახებ ინფორმაციის მიწოდება იყო. ექსპონატების სახით, გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა კონფესიების რელიგიური შესამოსელი, ლიტერატურა და სარიტუალო ინვენტარი.

გამოფენის გახსნაში მონაწილეობდნენ საქართველოში მოქმედი რელიგიური კონფესიები: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, მუსლიმი თემი, ებრაელთა თემი, სომხური სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქია, კათოლიკური, ბაპტისტური, ევანგე-

ლურ-პროტესტანტული, ევანგელურ-ლუთერული, სახარების რწმენის ეკლესიები, უზიდი თემი, კრიშნას ცნობიერების საზოგადოება, ასევე, პარლამენტის, მთავრობის წევრები, დიპლომატიური კორპუსისა და საგანმანათლებლო უწყებების წარმომადგენლები. გამოფენა 6 თვეს გაგრძელდა და დიდი ინტერესი გამოიწვია. სამომავლოდ, იგეგმება ექსპოზიციის განახლება.

რელიგიურ ტოლერანტობასთან დაკავშირებული პირველი გამოფენა, რელიგიის სააგენტოს ინიციატივითა და ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის ორგანიზებით, გაიმართა 2015 წელს, ყვარელში, ილიაობის დღესასწაულზე. ფოტოგამოფენაზე „ილია და რელიგიური ტოლერანტობა“, რომელსაც ინტერრელიგიური სათათბიროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ, სხვა ექსპონატებთან ერთად, წარმოდგენილი იყო ილიას პირადი ბიბლია და ყურანი.

3.6. ფოტოალბომი – „რელიგიები საქართველოში“

2018 წელს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოში შემუშავდა და 2019 წელს გამოიცა ფოტოალბომი – „რელიგიები საქართველოში“, რომელშიც ასახულია საქართველოს რელიგიურ-კულტურული მრავალფეროვნება, რელიგიურ ლიდერთა ბიოგრაფიები და ფოტოები. ალბომი დაყოფილია საქართველოს მხარეების მიხედვით და ასახავს უმრავლესი რელიგიური მიმდინარეობების მნიშვნელოვან, ისტორიულ საკულტო ნაგებობებს. ალბომში ცალკე თავები ეძღვნება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებსა და იქ არსებული ქართული მართლმადიდებლური ტაძრების სავალალო მდგომარეობას.

ფოტოალბომი „რელიგიები საქართველოში“ 2019 წელს, აშშ-ში ოფიციალური ვიზიტისას, საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა, აშშ-ის პრეზიდენტს, დონალდ ტრამპს საჩუქრად გადასცა.

ფოტოალბომის ორენოვანი ელექტრონული ვერსია განთავსებულია რელიგიის სააგენტოს ვრბგვერდზე:

<https://religion.gov.ge/images/8958ReligionsinGeorgia.pdf>

4. თანამშრომლობა სახელმწიფო უწყებებთან

4.1. საქართველოს პარლამენტი

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ინიციატივით, რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებთან შეხვედრა პირველად 2017 წლის დეკემბერში გაიმართა.

2018 წელს, რელიგიის სააგენტო ჩაერთო საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ინიციატივით, რელიგიის თავისუფლების საკითხებზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში.

რელიგიის სააგენტოსთან არსებული ინტერრელიგიური სათათბიროს შეხვედრებზე განიხილება სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელთა ნაწილზეც მსჯელობა საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში იმართება. 2019 წელს გაიმართა სულ ხუთი შეხვედრა. სამუშაო ჯგუფს წარმოადგენდნენ: საქართველოში მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების ხელმძღვანელი სასულიერო პირები, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, საქართველოს პარლამენტის დეპუტატები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შეხვედრებზე განიხილეს რელიგიური დაფინანსების კუთხით ბენეფიციართა გაზრდა, რელიგიური სწავლების სამართლებრივი რეგულაციების მიღება, რელიგიური ორგანიზაციების წინაშე არსებული გამოწვევების მოგვარების ხელშეწყობად სპეციალური საპარლამენტო ჯგუფის შექმნა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

4.2. საქართველოს სამთავრობო სტრუქტურები

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, დღიდან მისი დაარსებისა, მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს სხვადასხვა სამთავრობო უწყებებთან და აქტიურადაა ჩართული იმ საქმიანობებში, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვას, სეკულარიზმსა და ტოლერანტობის საკითხებს ეხება.

საანგარიშო პერიოდში, რელიგიის სააგენტო ჩართული იყო უწყებათაშორის მუდმივმოქმედ კომისიაში, რომელიც საქართველოს მთავრობის დადგენილებით შეიქმნა და მისი მიზანი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საქართველოს ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრა, ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეების მინიმუმამდე შემცირება და პრევენცია, ასევე, სახელმწიფო სტრუქტურების კოორდინირებული საქმიანობის ხელშეწყობაა. მუდმივმოქმედმა კომისიამ შეიმუშავა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა. რელიგიის სააგენტო, ასევე, ჩართულია კიდევ ერთ, სახელმწიფო უწყებათაშორის კომისიაში, რომლის ფარგლებში ფუნქციონირებს სამუშაო ჯგუფი პანკისის ხეობის განვითარების საკითხებზე.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან. 2019 წლის მარტში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წერილის საფუძველზე, 1921-1991 წლამდე პერიოდში სხვადასხვა კონფესიებისათვის ჩამორთმეული და სადავო საკულტო

ნაგებობების ინფორმაციის შესწავლისა და შესაბამისი მასალების მოწოდებასთან დაკავშირებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ წერილობით მიმართა გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის კვლევით ცენტრს და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს.

საანგარიშო პერიოდში, რელიგიის სააგენტო საქართველოს მთავრობის სხვადასხვა უწყებებთან თანამშრომლობის ფარგლებში, სისტემატურად იყო ჩართული უწყებათაშორის კომისიებში:

- წლების განმავლობაში, სააგენტოს წარმომადგენელი მონაწილეობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სხვადასხვა პროექტსა თუ კომისიაში, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის საკითხებს ეძღვნება. სააგენტო ასევე მონაწილეობს, საქართველოში ადგილობრივი კულტურული მარშრუტების განვითარებისა და ევროპის საბჭოს კულტურულ მარშრუტებში საქართველოს მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში;
- სააგენტოს წარმომადგენელი, ჟიურის წევრის სტატუსით, მონაწილეობდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ კონკურსში - „ეთნიკურ უმცირესობათა თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა“;
- სააგენტომ მონაწილეობა მიიღო საქართველოს მთავრობის პროექტში, კულტურული მემკვიდრეობის ზოგიერთი უძრავი ძეგლისათვის ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის განსაზღვრის თაობაზე;
- რელიგიის სააგენტო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად, მონაწილეობს საქართველოს კანონის „საადმზრდელი საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ მოთხოვნების შესასრულებლად შექმნილ სამუშაო ჯგუფში, რომელიც რელიგიური ორგანიზაციების პანსიონატების ფუნქციონირებას ეხება.

5. თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, როგორც საჯარო უწყება, მუდმივად თანამშრომლობს სხვადასხვა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მათ შორის „საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდთან“ (რონდელის ფონდი) „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრთან“ (EMC), „ადამიანის უფლებათა ცენტრთან“ (HRIDC), „ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტთან“ (TDI) და სხვა.

სააგენტო, ასევე, ყოველწლიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვადასხვა უწყებებთან, მონაწილეობს საერთო ანგარიშების მომზადებაში, რაც გულისხმობს რელიგიის მიმართულებით არსებული რეალობისა და სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, მათ შორის:

- 2018 წელს, ECRI-ის (ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ) მეხუთე ციკლის რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით, გადაიგზავნა შესაბამისი ინფორმაცია რელიგიური მდგომარეობის ნაწილში;
- 2018 წელს, ბრიუსელში, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე საქართველო-ევროკავშირის დიალოგის (HRD) რიგით მე-11 შეხვედრის ფარგლებში, რელიგიის სააგენტომ ევროკავშირს მიაწოდა შესაბამისი ინფორმაცია ინგლისურ ენაზე;
- 2018 წელს, ადამიანის უფლებათა საბჭოსთვის უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის ფარგლებში, საქართველოსთვის გაცემულ რეკომენდაციებზე, სააგენტომ გაგზავნა ინფორმაცია განხორციელებული აქტივობების შესახებ;
- 2019 წელს, სააგენტოს წარმომადგენლობა დაესწრო საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის პროექტის პრეზენტაციას, რომელიც მაღალმთიანი გურიისა და აჭარის მმართველობაში მოსახლეობის მონაწილეობა-ჩართულობის ხელშეწყობას ეხებოდა;
- 2019 წელს, სააგენტომ შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიაწოდა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის შესრულების მე-5 პერიოდული ანგარიშისათვის, რომელიც გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტს წარედგინა;
- 2019 წლის ბოლოს, სააგენტომ ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუციის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მოამზადა და მიაწოდა გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისიის ოფისს.

6. რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების ფარგლებში

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახელმწიფო არ არის საბჭოთა რეჟიმის სამართალმემკვიდრე და შესაბამისად, საბჭოთა ტოტალიტარული პერიოდის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ აქვს, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის N117 დადგენილების ფარგლებში, 4 რელიგიურ მიმდინარეობას – ისლამურ, იუდეურ, რომაულ-კათოლიკურ და სომხურ-სამოციქულო აღმსარებლობის რელიგიურ გაერთიანებებს სიმბოლურად და ნაწილობრივ უნაზღაურებს საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებულ ზიანს, რომელიც ხმარდება რელიგიური თემების განვითარებას, გამთლიანებასა და ქვეყანაში მშვიდობიან თანაარსებობას.

	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	სულ
მუსლიმი თემი	1 100 000	2 200 000	2 750 000	2 750 000	2 750 000	2 750 000	14 300 000
რომაულ-კათოლიკური თემი	200 000	400 000	550 000	550 000	550 000	550 000	2 800 000
სომხური სამოციქულო ეკლესიის თემი	300 000	600 000	800 000	800 000	800 000	800 000	4 100 000
იუდეური თემი	150 000	300 000	400 000	400 000	400 000	400 000	2 050 000
სულ	1 750 000	3 500 000	4 500 000	4 500 000	4 500 000	4 500 000	23 250 000

*თანხები მოცემულია ლარში

ამას გარდა, რელიგიური გაერთიანებები იღებენ ფინანსურ და ქონებრივ დახმარებას ადგილობრივი ბიუჯეტებიდან, მათ თემში არსებული რელიგიური საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით.

6.1. ბენეფიციარ კონფესიათა წრის დაფინანსების გაზრდასთან დაკავშირებული მომართვები

2018 წელს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ბენეფიციარ კონფესიათა დაფინანსების სიაში დამატების მოთხოვნით მიმართეს, ჯერ უზიდთა სასულიერო საბჭომ, შემდეგ საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტულმა ეკლესიამ, ხოლო მოგვიანებით, ანალოგიური სურვილი ევანგელურ-ლუთერულმა ეკლესიამაც გამოთქვა. აღნიშნულ საკითხზე ყველა შესაბამის უწყებასთან მიმდინარეობს კონსულტაციები.

7. „რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი სარეკომენდაციო კომისია“

საქართველოს არ აქვს საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონების რესტიტუციის ვალდებულება, ვინაიდან დამოუკიდებელი საქართველო არ არის საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე, მიუხედავად ამისა, საქართველოს სახელმწიფო რელიგიურ გაერთიანებებს უბრუნებს იმ საკულტო ნაგებობებს, რომელიც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სახელმწიფოს ფაქტობრივ საკუთრებაში აღმოჩნდა. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ბაზაზე არსებობს „რელიგიურ გაერთიანებათა ფინანსური და ქონებრივი საჭიროებების შემსწავლელი კომისია“. კომისიის გადაწყვეტილებით, 2014 წლიდან დღემდე, საქართველოს მასშტაბით, მუსლიმ თემს დაუბრუნდა 212 მეჩეთი – როგორც სუნიტური, ისე შიიტური. 2015 წელს, სახელმწიფომ მუსლიმი თემისათვის, ქ. ბათუმში, ორი 4 სართულიანი შენობა (საერთო ღირებულებით 5 მლნ ლარი) შეისყიდა და გადასცა სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს: ერთი – სამუფტო რეზიდენციისთვის, მეორე კი – რელიგიური სასწავლებლისათვის (მედრესესთვის).

იუდეურ თემს გადაეცა 20 სინაგოგა. ყველა მათგანი რესტავრირებული და მოვლილია, წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს და დაცულია კანონით.

ადგილობრივ ხელისუფლებასთან ორწლიანი ინტენსიური მოლაპარაკებებისა და მთავრობის დადგენილების თანახმად, რელიგიის სააგენტომ ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაციას ქ. რუსთავში, მათ საკუთრებაში არსებული 500 კვ.მ. მიწის ნაცვლად საკუთრებაში გადასცა 1200 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მასზე ეკლესიის აშენების უფლებით. „გულმოწყალე იესოს“ სახელობის კათოლიკური ეკლესია უკვე აშენდა, გაიხსნა და ღვთისმსახურება მიმდინარეობს.

სომხური სამოციქულო ეკლესიის თემი დღეს საქართველოში ფლობს 58 მოქმედ ეკლესიას, რომელთა ძირითადი უმრავლესობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს წარმოადგენს – მათ სახელმწიფო უვლის, არემონტებს და იცავს. თბილისში საზეიმოდ გაიხსნა სურბ-გევორქის რესტავრირებული საკათედრო ტაძარი, რომლის აღდგენითი სამუშაოების ნაწილი „ქართუ ჯგუფის“ თანადაფინანსებით განხორციელდა. 2016 წელს დასრულდა თბილისის ნორაშენის ეკლესიის გამაგრებითი და სარესტავრაციო სამუშაოები, რომელიც სახელმწიფოს დაახლოებით, 1 მლნ. ლარი დაუჯდა. მიმდინარეობს მოდნისის ეკლესიის გამაგრებითი სამუშაოები.

საქართველოს ევანგელურ – პროტესტანტულ ეკლესიას, რელიგიური მსახურების აღსასრულებლად, წლების განმავლობაში არ გააჩნდა სალოცავი სახლი. 2015 წელს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დახმარებით, საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტულ ეკლესიას სალოცავი სახლისათვის გადაეცა შენობა-ნაგებობა გორში. 2016 წელს, სააგენტომ რუსთავში ახალი სალოცავი სახლის მშენებლობის რეკომენდაცია გასცა. იმავე წელს, სააგენტოს რეკომენდაციით, ევანგელურ-პროტესტანტულ ეკლესიას, ეკლესიის გასაფართოებლად, რუსთავში დამატებით გადაეცა მიწის ნაკვეთი (150 კვ. მ.) მასზე არსებული შენობა-ნაგებობით. 2016 წელს, სააგენტოს რეკომენდაციით, გორში ეკლესიას დამატებით გადაეცა მიწის ნაკვეთი (431 კვ. მ.) სოციალური და საქველმოქმედო საქმიანობისათვის.

საქართველოს სახელმწიფოს უშუალო დახმარებით, თბილისში, პირველად პოსტსაბჭოთა სივრცეში, ეზიდურ თემს გადაეცა მიწის ნაკვეთი სალოცავი სახლის მშენებლობისათვის.

2015 წლის 16 ივნისს, თბილისში გაიხსნა ეზიდური სალოცავი სახლი და კულტურის ცენტრი.

საქართველოს ევანგელურ-ლუთერულმა ეკლესიამ 2017 წელს, საზეიმოდ აღნიშნა საქართველოში გერმანელთა დამკვიდრების 200 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობამ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება: საქართველოს ევანგელურ-ლუთერულ ეკლესიას, საქართველოში არსებობის მანძილზე პირველად, ქ. თბილისში, 5500 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, მასზე მდებარე ეკლესია და შენობა-ნაგებობა გადაეცა. ასევე, სახელმწიფო გამოთქვამს მზადყოფნას და სააგენტო განიხილავს ოთხ ძირითად კონფესიასთან ერთად, ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის შესაძლო დაფინანსების საკითხსაც.

საქართველოს სახარების ქრისტიან ბაპტისტთა ეკლესიების კავშირს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დახმარებით, პირველად მათ ისტორიაში, ქ. თბილისში, მიეცათ საშუალება აეშენებინათ ტაძარი, რომელიც 2017 წლის შემოდგომაზე გაიხსნა.

2016 წელს, ოფიციალურად გაიხსნა თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური ეკლესია. მისი დამაარსებელია ამერიკის მოქალაქე, ჩარლზ ჰობლიცი, მრევლს კი უცხოეთის ინგლისურენოვანი მოქალაქეები წარმოადგენენ. 2016 წელს, რელიგიის სააგენტოს რეკომენდაციით, გაიცა სალოცავი სახლის მშენებლობის ნებართვა. 2016 წელსვე, სააგენტოს დახმარებით, ეკლესიამ მიიღო თბილისის მერიის ნებართვა სალოცავი სახლის გაფართოების თაობაზე. თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური ეკლესია აქტიურად თანამშრომლობს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან, რელიგიის სფეროს მიკუთვნებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით.

7.1. სარეკომენდაციო კომისიის სხდომები

2018 წელს, რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი კომისიის 5 სხდომა გაიმართა. ჯამში, კომისიამ განიხილა 230 საკითხი, აქედან:

მართლმადიდებელი ეკლესია: დაკმაყოფილდა – 174, ხარვეზი – 10, უარი – 4;

მუსლიმი თემი: დაკმაყოფილდა – 33 , ხარვეზი – 0, უარი – 0;

სომეხთა სამოციქულო ეკლესია: დაკმაყოფილდა – 4, ხარვეზი – 1 , უარი -2;

ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია: დაკმაყოფილდა – 1, ხარვეზი – 0, უარი – 0;

ევანგელურ-ლუთერული ეკლესია: დაკმაყოფილდა – 1, ხარვეზი – 0, უარი – 0;

2018 წლის 28 თებერვალი – I სხდომა

რელიგიური თემი	შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	ხარვეზი	უარი
მართლმადიდებელი ეკლესია	78	77	1	
მუსლიმი თემი	12	12		

2018 წლის 26 აპრილი – II სხდომა

რელიგიური თემი	შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	ხარვეზი	უარი
მართლმადიდებელი ეკლესია	45	41	1	3
მუსლიმი თემი	20	20		

2018 წლის 25 ივლისი – III სხდომა

რელიგიური თემი	შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	ხარვეზი	უარი
მართლმადიდებელი ეკლესია	38	30	8	
სომეხთა სამოციქულო ეკლესია	4	1	1	2
ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია	1	1		
ევანგელურ-ლუთერული ეკლესია	1	1		

2018 წლის 28 სექტემბერი – IV სხდომა

რელიგიური თემი	შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	ხარვეზი	უარი
მართლმადიდებელი ეკლესია	12	11		1
მუსლიმი თემი	1	1		

2018 წლის 18 დეკემბერი – V სხდომა

რელიგიური თემი	შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	ხარვეზი	უარი
მართლმადიდებელი ეკლესია	15	15		
სომეხთა სამოციქულო ეკლესია	3	3		

2019 წელს გაიმართა რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივ და ფინანსური საკითხების შემსწავლელი კომისიის 5 სხდომა. ჯამში, კომისიამ განიხილა 251 საკითხი, აქედან:

მართლმადიდებელი ეკლესია: დაკმაყოფილდა – 207, ხარვეზი – 8, უარი – 18;

მუსლიმი თემი: დაკმაყოფილდა – 0, ხარვეზი – 0, უარი – 3;

სომეხთა სამოციქულო ეკლესია: დაკმაყოფილდა – 2, ხარვეზი – 0, უარი – 2;

ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია: დაკმაყოფილდა -1 , ხარვეზი – 0, უარი – 0 ;

ევანგელურ-ლუთერული ეკლესია: დაკმაყოფილდა – 0, ხარვეზი – 0, უარი -1;

უზიდთა სასულიერო საბჭო: დაკმაყოფილდა – 0, ხარვეზი – 0, უარი -1;

2019 წლის 19 თებერვალი – I სხდომა

რელიგიური თემი	შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	ხარვეზი	უარი
მართლმადიდებელი ეკლესია	110	104	3	3
მუსლიმი თემი	1	1		

2019 წლის 19 თებერვალი – I სხდომა

რელიგიური თემი	შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	ხარვეზი	უარი
მართლმადიდებელი ეკლესია	63	54	2	7

2019 წლის 23 ივლისი – III სხდომა

რელიგიური თემი	შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	ხარვეზი	უარი
მართლმადიდებელი ეკლესია	63	54	2	7
ევანგელურ ლუთერული ეკლესია	31	23	3	3
იეზიდთა სასულიერო საბჭო	1			1
სომეხთა სამოციქულო ეკლესია	2			2
მუსლიმი თემი	3			3

2019 წლის 30 სექტემბერი – IV სხდომა

რელიგიური თემი	შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	ხარვეზი	უარი
მართლმადიდებელი ეკლესია	16	13		3
სომეხთა სამოციქულო ეკლესია	2	2		

2019 წლის 28 ნოემბერი - V სხდომა

რელიგიური თემი	შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	ხარვეზი	უარი
მართლმადიდებელი ეკლესია	15	13		2

8. ინტერრელიგიური სათათბირო

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან ფუნქციონირებს ინტერრელიგიური სათათბირო, რომელშიც საქართველოში არსებული თითქმის ყველა რელიგიური გაერთიანება მონაწილეობს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, ისტორიული რელიგიებისა და სხვა მცირერიცხოვანი რელიგიების ჩათვლით, კერძოდ:

- საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია;
- საქართველოს მუსლიმთა სამმართველო;
- ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია;
- სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს ეპარქია;
- საქართველოს ებრაელთა კავშირი;
- საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია;
- საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია;
- სახარების რწმენის ეკლესია;
- საქართველოს სახარების ქრისტიან ბაპტისტთა ეკლესიების კავშირი;
- თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური ეკლესია;
- ეზიდთა სასულიერო საბჭო;
- კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოება.

2018 – 2019 წლებში გაიმართა ინტერრელიგიური სათათბიროს შვიდი სხდომა, რომლებიც მიეძღვნა შემდეგ საკითხებს:

1. ტოლერანტობის საერთაშორისო დღე;
2. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის შეჩერებული ავტოკეფალური მმართველობის აღდგენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაში „რელიგია და საზოგადოებრივი ცხოვრება“ მონაწილეობა (2018 წლის 12 თებერვალი);
3. რელიგიური ორგანიზაციების წინაშე არსებული გამოწვევები. რელიგიური დაფინანსების კუთხით ბენეფიციართა გაზრდა და რელიგიური სწავლების სამართლებრივი რეგულაციების მიღება;
4. საპარლამენტო ჯგუფის შექმნა რელიგიური ორგანიზაციების წინაშე არსებული პრობლემების მოსაგვარებლად (საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით);

5. შეხვედრა გაეროს ბავშვთა ფონდთან და ერთობლივი თანამშრომლობის დაგეგმვა საქართველოში ბავშვთა უფლებების მაქსიმალური დაცვის მიზნით;
6. 2018 წლის 24-25 ნოემბერს, ვენაში (ავსტრია) ჩატარებული საერთაშორისო სიმპოზიუმის „განათლება – ვისი პასუხისმგებლობაა“ მონაწილე ქართველ მეცნიერებთან შეხვედრა და აქტუალური საკითხების განხილვა;
7. 2018 – 2020 წ.წ. ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის ფარგლებში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობის განხილვა.

9. „ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის“ – კონფერენციათა ციკლი/დეკლარაციები

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინიციატივით, ყოველწლიურად იმართება კონფერენცია – „ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის“, რომელიც სხვადასხვა აქტუალურ საკითხებს ეძღვნება. ტრადიციული, ყოველწლიური კონფერენციის თემატიკა ითვალისწინებს და ეხმიანება თანამედროვე მსოფლიოში არსებულ გამოწვევებს და საქართველოში არსებული რელიგიური ორგანიზაციებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლების მონაწილეობით მსჯელობს მათზე.

საანგარიშო პერიოდში, სააგენტოს ინიციატივით, 2018 წლის 17 ივლისს, ჩატარდა რიგით მე-3 კონფერენცია – „ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის“ – თემაზე, „რელიგიების როლი საქართველოში 1918–2018 წ.წ.“ კონფერენციას ესწრებოდნენ: საქართველოს ხელისუფლების, რელიგიური ორგანიზაციების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. მომხსენებლები შეეხნენ ბოლო ასი წლის მანძილზე არსებულ ისტორიულ კონტექსტს, მის გავლენას კონკრეტულ რელიგიურ თემებზე და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს როლს საქართველოში ტოლერანტული გარემოს ჩამოყალიბებაში.

2019 წლის 24 ოქტომბერს, მე-4 კონფერენციაზე „რელიგიები საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე“, ხელი მოეწერა დეკლარაციას, რომელშიც საქართველოში მოქმედი რელიგიები მხარდაჭერას უცხადებენ საყოველთაო პლურისციტით გაცხადებულ საქართველოს ისტორიულ არჩევანს – ევროპულ კურსს ეროვნული ტრადიციების განმტკიცებას, ოჯახისა და რწმენის ფუნდამენტური საკითხებისა და ღირებულებების შენარჩუნებითა და მოფრთხილებით; გმობენ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მშვიდობიანი მოსახლეობის გატაცებასა და სიცოცხლის მოსპობას; საკულტო ნაგებობების ეთნიკურ-ისტორიული კვალის წაშლის მიზნით უხეში გადაკეთების, დახურვის ან განადგურების ყველა ფაქტს.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული კონფერენციები და მიღებული დეკლარაცია წარმოადგენს გაგრძელებას კონფერენციათა იმ ციკლისა, რომელსაც სააგენტო 2016 წლიდან ახორციელებს. 2015 წლის 8 მარტს, თბილისის „ტოლერანტობის სკვერში“, ხელი მოეწერა საქართველოს რელიგიურ გაერთიანებათა და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს პირველ დეკლარაციას, „ქალი – მშვიდობის დესპანი“, რომელშიც აღნიშნულია, რომ რელიგიური ორგანიზაციები, სახელმწიფოსთან ერთად, „მხარს დაუჭერენ ქალთა უფლებების აღიარებასა და დაცვას; გმობდნენ და კვლავაც დაგმობენ ქალთა მიმართ განხორციელებული, სქესის ნიშნით ადამიანის ღირსების შემლახველი ძალადობის, ჩაგვრისა და დისკრიმინაციის ყოველგვარ ფორმას; შეუქმნიან ყველა საჭირო პირობას და განსაკუთრებით იზრუნებენ სოციალურად დაუცველ ქალებზე, ორსულ ქალებზე, მრავალშვილიან დედებზე, მოხუცთა თავშესაფრების ბინადარ და სამედიცინო დაწესებულებებში მყოფ ქალებზე, მეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებზე, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფ და პრობაციონერ ქალებზე; საკუთარი რელიგიურ-ზნეობრივ სწავლებათა გათვალისწინებით, ხელს შეუწყობენ კანონის წინაშე ქალისა და მამაკაცის თანასწორობას“.

2016 წელს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინიციატივით, გაიმართა პირველი კონფერენცია თემაზე – „ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის“, რომლის მიზანი იყო საქართველოში მოქმედი რელიგიათა წარმომადგენლების პოზიციების დაფიქ-

სირება ჩვენი საზოგადოების აქტუალურ საკითხებზე და მოსაზრებათა შეჯერება განსხვავებულ კონფესიათა მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის. კონფერენციამ მიიღო ერთობლივი დეკლარაცია, რომლითაც საქართველოში არსებულმა რელიგიურმა ორგანიზაციებმა მხარი დაუჭირეს მშვიდობის, მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის მარადიულ ფასეულობებს. დეკლარაციაში აღნიშნულია: „ინტერრელიგიურ დიალოგში ჩართული მხარეები ხელს უწყობენ რელიგიათა შორის თანამშრომლობასა და მაღალზნეობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებას, ორიენტირებულს ადამიანის ღირსებისა და ოჯახის სიწმინდის დაცვაზე, თანასწორუფლებიანობაზე, სოციალური პრობლემების მოგვარებაზე“.

2017 წლის 15 ნოემბერს, საქართველოში არსებული რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები, საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წევრები, დიპლომატიური კორპუსის, რელიგიის სააგენტოს პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები კვლავ შეიკრიბნენ „ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის“ – II კონფერენციის ფორმატში, სახელწოდებით – „**რელიგიური ტოლერანტობა საქართველოში**“.

ინტერრელიგიური კონფერენციის – „ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის“ მასალები ყოველწლიურად გამოიცემა და იტვირთება სააგენტოს ვებგვერდზე.

2019 წლის მე-4 კონფერენციაზე

„ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის“ მიღებული

დეკლარაცია

რელიგიები საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე

ჩვენ, საქართველოში მოქმედი რელიგიები,

ვაცნობიერებთ რა, საქართველოს ისტორიულ მისწრაფებას ევროპული ოჯახისა და კულტურის მიმართ,

ვეყრდნობით რა, პლებისციტით გამოხატულ ქართული საზოგადოების ნებას,

ვითვალისწინებთ რა, რელიგიების მნიშვნელობას და როლს საზოგადოებრივი ცნობიერებისა და ცხოვრების ფორმირებაში,

ვთანხმდებით შემდეგზე:

1. მხარს ვუჭერთ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს და რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებას;
2. მიგვაჩნია, რომ საქართველოს, როგორც ძველი ევროპის კულტურული ოჯახის ისტორიული წევრისა და გამორჩეული ტოლერანტობის ტრადიციის მქონე ქვეყნის როლი მნიშვნელოვანია თანამედროვე ევროპის თანამეგობრობისათვის, ისევე, როგორც ევროპული ქვეყნების მიღწევები ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა დაცვის სფეროში – ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის;

3. ვგმობთ, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მშვიდობიანი მოსახლეობის გატაცებასა და სიცოცხლის მოსპობას; საკულტო ნაგებობების ეთნიკურ-ისტორიული კვალის წაშლის მიზნით უხეში გადაკეთების, დახურვის ან განადგურების ყველა ფაქტს;
4. ვემიჯნებით, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების შეზღუდვის გამოვლინებებს და მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესს;
5. მხარდაჭერას ვუცხადებთ საყოველთაო პლებისციტით განცხადებულ საქართველოს ისტორიულ არჩევანს – ევროპულ კურსს ეროვნული ტრადიციების, ოჯახისა და რწმენის ფუნდამენტური საკითხებისა და ღირებულებების შენარჩუნებითა და მოფრთხილებით.
 - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია
 - სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო
 - სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის საქართველოს ეპარქია
 - საქართველოს ებრაელთა კავშირი
 - საქართველოს სახარების ქრისტიან ბაპტისტთა ეკლესიების კავშირი
 - საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია
 - თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური ეკლესია
 - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

10. სახელმწიფო ენა სასულიერო პირებისათვის

2019 წელს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინიციატივით, შეიქმნა ახალი პროექტი, „სახელმწიფო ენა სასულიერო პირებისათვის“. პროექტის შექმნის იდეა განაპირობა სააგენტოს მიერ 2018–2020 წლების ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით განხორციელებულმა სემინარების ციკლმა „ადამიანის უფლებები და რელიგიური შემწყნარებლობა“, რომლის დროსაც ცხადი გახდა, რომ სახელმწიფო ენის არასათანადოდ ფლობის გამო, სემინარების მონაწილე რელიგიური უმცირესობების ზოგიერთ სასულიერო პირს თემის გაგება-გააზრება უჭირდა. სახელმწიფო ენის შესწავლის გარდა, პროექტის მიზანს, ასევე, წარმოადგენს საზოგადოების ყველა სექტორში საზოგადოების მონაწილეობის წახალისება, განუჩივლად მათი რელიგიური კუთვნილებისა. ამგვარად, გადაწყდა განხორციელებულიყო სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტი, სახელწოდებით: „სახელმწიფო ენა სასულიერო პირებისათვის“, რომლის ფარგლებშიც ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასთან გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში დამთავრდა პირველი სამთვიანი ეტაპი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს მუსლიმთა თემმა. მეორე ეტაპზე მუსლიმებს შეუერთდნენ სომხური სამოციქულო ეკლესიისა და ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის სასულიერო პირები. პროექტში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა, აგრეთვე, აღნიშნული ეკლესიების მრევლმაც, რომლებიც პროექტს მესამე ეტაპზე შეუერთდებიან.

11. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები

ახალგაზრდებში რელიგიური ცოდნისა და კულტურის ამაღლების მიზნით, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, დაარსებიდან დღემდე, აქტიურად თანამშრომლობს როგორც აკადემიურ სექტორთან, ასევე, სხვადასხვა უწყებებთან და ორგანიზაციებთან. საანგარიშო პერიოდში, რელიგიის სააგენტომ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გააფორმა შემდეგ ორგანიზაციებთან:

- ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასთან, რომელთან ერთადაც განხორციელდა სააგენტოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი – „სახელმწიფო ენა სასულიერო პირებისათვის“.
- გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF), რომელთან ერთადაც საქართველოში არსებული რელიგიური ორგანიზაციებისათვის დაიგეგმა და ხორციელდება სემინარები ბავშვთა უფლებების გასაცნობად.

გასულ წლებში გაფორმებული მემორანდუმების სუბიექტებია:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
2. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
4. გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი;
5. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი „ალმა მატერი“;
6. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი;
7. ევროპის უნივერსიტეტი;
8. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
9. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
10. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
11. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
12. ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმი;
13. „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე“;
14. საქართველოს ეროვნული მუზეუმი;

15. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა;
16. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო;
17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია;
18. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო;
19. შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია;
20. ა(ა)იპ „საზოგადოებრივი დამცველი“;
21. ა(ა)იპ „თავისუფალი არჩევანი“;
22. ა(ა)იპ „ასოციაცია: კავკასიის ქალები საუნივერსიტეტო განათლებით“;
23. ა(ა)იპ „სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზი“.

12. სახელმწიფოს ურთიერთობა რელიგიურ ორგანიზაციებთან

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით და რელიგიის სააგენტოს წარმომადგენლობა, ტრადიციულად, ესწრება საქართველოში მოღვაწე ისტორიული რელიგიების უმთავრეს დღესასწაულებს, მათ შორის – საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის უდიდეს დღესასწაულებს – აღდგომას, შობასა და სვეტიცხოვლობას; მუსლიმი თემის დიდ დღესასწაულებს და ტრადიციულად, იფთარის ვახშამს მართავს მუსლიმი სასულიერო პირებისათვის; საქართველოს პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი კი, ებრაელთა თემის ხანუქას დღესასწაულზე, სინაგოგაში, სიმბოლურად, პირველ და მეორე სანთელს ანთებენ.

ასევე, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო რეგულარულად ხვდება სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციების ლიდერებს და ესწრება მათ წლიურ ანგარიშებს, საქველმოქმედო აქციებს, კონფერენციებს, განიხილავს მათგან შემოსულ მიმართვებსა და განცხადებებს და ეხმარება საჭიროებების მიხედვით.

2018 წლის საანგარიშო პერიოდში, ქ. რუსთავში გაიხსნა რელიგიურ უმცირესობათა ორი საკულტო ნაგებობა: ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია (08.01.2018) და „გულმოწყალე იესოს“ სახელობის კათოლიკური ტაძარი (06.10.2018).

2018 წელს, თბილისის ოლიმპიურ სასახლეში ჩატარდა იეჰოვას მოწმეთა სპეციალური სამდღიანი საერთაშორისო რელიგიური კონგრესი, რომელსაც საქართველოს მოქალაქეების გარდა, დაესწრო რამდენიმე ქვეყნის 2500-მდე მოქალაქე. კონგრესზე, საპატიო სტუმრის რანგში, მიწვეული იყო რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დელეგაცია. კონგრესის ორგანიზატორებმა მადლობა გადაუხადეს სააგენტოს ხელმძღვანელობას ორგანიზაციულ საკითხებში დახმარებისათვის.

2019 წელსაც გაიმართა იეჰოვას მოწმეების მეორე სამდღიანი საერთაშორისო კონგრესი, რომელიც ჩატარდა თბილისში მდებარე ახალ „სპორტულ სასახლეში“, მშვიდობიანად, ყველა საჭირო წესის დაცვით. კონგრესს რელიგიის სააგენტოს დელეგაცია დაესწრო, რადროსაც კონგრესის ორგანიზატორებმა, დახმარებისა და თანადგომისათვის, მას მადლობა გადაუხადეს.

2019 წლის 17 ივლისს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლებმა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართეს სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის ახალ ხელმძღვანელთან, არქიმანდრიტ კირაკოს დავთიანთან.

2019 წლის 18 ივლისს, გაცნობითი ხასიათის შეხვედრა შედგა საქართველოს სომეხთა ეპარქიის სამცხე-ჯავახეთისა და წალკის ეპარქიალური ვიკარიატის ახალ ვიკარიუსთან, ვარდაპეტ მაღაქია ამირიანთან.

2019 წლის 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ საქართველოში არსებული რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებს ინტერრელიგიური სათათბიროს ფორმატში უმასპინძლა.

2019 წლის 30 დეკემბერს გაიმართა შეხვედრა სომეხ კათოლიკეთა წარმომადგენლებთან: ეპისკოპოსს რაფაელ მინასიანთან, კარნიკ იუსეფისთან და მიხეილ ხაჩკალიანთან.

რელიგიის სააგენტო რეგულარულად ხვდება საქართველოში ვიზიტით მყოფ სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციების ლიდერებს და აცნობს მათ საქართველოში მოღვაწე რელიგიური ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ფორმებს, ინიციატივებს, ერთობლივ პროექტებს და ზოგადად, რელიგიის მიმართულებით არსებულ ვითარებას.

2018 წლის 13 აპრილს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლებმა ირანის ქალაქ ყუმის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის, „ვალი-ასრი“-ს დირექტორს, სეიდ მუჰამმად ჰოსსეინს – აიათოლა კაზმეინს უმასპინძლეს.

2019 წლის 3 მაისს, „მსოფლიოს ქართველ ებრაელთა ასოციაციამ“, მთავარი რაბინის, იაკობ გაგულაშვილის ხელმძღვანელობით, სამუშაო შეხვედრა გამართა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ებრაული თემის წარმომადგენლები.

2019 წლის 10 ოქტომბერს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, გაიმართა რელიგიის სააგენტოს შეხვედრა საქართველოს სახარების ქრისტიან ბაპტისტთა ეკლესიების კავშირის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ: გია კანდელაკი – საქართველოს სახარების რწმენის ქრისტიან ბაპტისტთა ეკლესიების კავშირი, ნიკოლაი ვოზიანი – მოლდოვას რესპუბლიკა, იგორ ბანდურა – უკრაინა, ერიკ ტამმი – ესტონეთის რესპუბლიკა, რიმა ტამმი – ესტონეთის რესპუბლიკა, ასატურ ნაგაბეკიანი – სომხეთის რესპუბლიკა, ივან ლეპეშა – ბელორუსიის რესპუბლიკა, ალექსანდრე შიშკინი – ყაზახეთის რესპუბლიკა, ვლადიმირ მისკევიჩი – რუსეთის ფედერაცია.

2019 წლის 19 დეკემბერს, სააგენტოს წარმომადგენლობამ შეხვედრა გამართა ირანის ისლამური რესპუბლიკის დელეგაციასთან: ირანის ისლამური სემინარიის რექტორის მოადგილესთან და ექსტრემიზმთან ბრძოლის კონგრესის მდივანთან, მოჰამად ჰოსეინ ზამანისთან.

13. რელიგიის სააგენტოს ინიციატივა — ქართულ-ებრაული ურთიერთობები

2017 წელს, რელიგიის სააგენტოს კონფერენციაზე „ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის“, სააგენტო გამოვიდა ინიციატივით ქართული ტოლერანტობის არამატერიალური კულტურის ძეგლად გამოცხადების შესახებ, რომელიც 2018 წლის აპრილში განხორციელდა საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ და დამტკიცდა საქართველოს მთავრობის მიერ.¹ ამ ინიციატივის ფორმატში, **ქართულ-ებრაულ 26 საუკონოვან ურთიერთობას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.**

რელიგიის სააგენტოს დელეგაცია ყველა ოფიციალურ შეხვედრაზე სხვადასხვა ებრაული თემის მხრიდან იღებს მხარდაჭერას იუნესკო-ს მიერ ამ სტატუსის საერთაშორისო აღიარების პროცესში.

¹ http://gov.ge/print.php?gg=1&sec_id=491&info_id=64635&lang_id=GEO

14. საქველმოქმედო აქციები

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, 2015 წლიდან დღემდე, აქტიურად ატარებს საქველმოქმედო აქციებს საქართველოს სხვადასხვა მხარეში, რაც გულისხმობს უფასო სამედიცინო მომსახურებასა და სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და უფროსებისათვის ტანისამოსის მიწოდებას. საქველმოქმედო აქციები ტარდება რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინიციატივით, საპატრიარქოს წმ. იოაკიმესა და ანას სამედიცინო ცენტრის, მუსლიმთა სამმართველოს, საქართველოს სახარების ქრისტიან ბაპტისტთა ეკლესიების კავშირისა და სხვა რელიგიების მონაწილეობით.

2015 წლიდან დღემდე საქართველოს საპატრიარქოსა და საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს მხარდაჭერით, საქველმოქმედო აქციები ჩატარდა თიანეთის, დუშეთის, გორის, ბათუმის, ახალციხის, ადიგენის, საჩხერის, ვანის, ზუგდიდის, ასევე, ხულოს მაღალმთიანი სოფლებისა და ხელვაჩაურის რაიონის მოსახლეობისათვის. სააგენტომ, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოსა და საქართველოს სახარების ქრისტიან ბაპტისტთა ეკლესიების კავშირის მხარდაჭერით, საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, ჰუმანიტარული ტვირთი გადასცა პანკისის ხეობის მოსახლეობას. სააგენტოს ინიციატივითა და მუსლიმთა სამმართველოს ხელშეწყობით, პანკისის ხეობაში, სოფელ დუისში რეკონსტრუქცია ჩატარდა დუისის მეჩეთის მიმდებარე სარიტუალო შენობას. საჭიროების მიხედვით, იმართება სააგენტოს წარმომადგენლობის შეხვედრები პანკისის ხეობის მოსახლეობასა და უხუცესთა საბჭოს წევრებთან.

2018 წელს, რელიგიის სააგენტოს, მუსლიმთა სამმართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის საელჩოს ერთობლივი ინიციატივითა და ორგანიზებით გამართული საქველმოქმედო აქციის ფარგლებში 70 გადასაადგილებელი ეტლი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს“ და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრებ, ყველა რელიგიური ორგანიზაციის მრევლს გადაეცა.

2018 და 2019 წლებში, საქველმოქმედო აქციები ასევე გაიმართა, უსინათლო ბავშვთა 202-ე საჯარო სკოლა-პანსიონის მოსწავლეებისათვის, რომელთაც ჰუმანიტარული ტვირთი გადაეცათ.

2019 წელს, სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მხარდაჭერით, არაბთა გაერთიანებული საამიროების საელჩოს, წითელი ნახევარმთვარის ორგანიზაციისა და საქართველოს საპატრიარქოს მონაწილეობით საქველმოქმედო ღონისძიება გაიმართა, რომლის ფარგლებშიც 100 მრავალშვილიან ოჯახს, პატრიარქის ნათლულებს, საახალწლო საჩუქრები გადაეცათ.

15. შეხვედრები დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან, მართავს გაცნობითი და სამუშაო ხასიათის შეხვედრებს და აცნობს მათ სააგენტოს საქმიანობას, განხორციელებულ პროექტებსა და სამომავლო გეგმებს.

2018 წელი

- შეხვედრა თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში, ფატმა სერენ იაზგანთან, 01.03.2018, 24.12.2018;
- შეხვედრა საბერძნეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში, დიმიტრის კარაბალისთან, 12.03.2018;
- შეხვედრა დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში, ჯასტინ მაქენზი სმიტთან, 03.04.2018;
- შეხვედრა საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელ, კრისტიან ურსესთან, 04.04.2018;
- შეხვედრა ირანის კულტურის ატაშესთან, ჰამიდ მუსტაფავისთან, 05.04.2018, 17.08.2018;
- შეხვედრა საქართველოში წმინდა საყდრის ნუნციო, ჟოზე აველინო ბეტანკურთან, 22.06.2018;
- შეხვედრა საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელ, დოქტორ როსარია პუგლისისთან, 06.07.2018;
- შეხვედრა ავსტრიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში, არად ბენკოსთან, 18.09.2018;
- შეხვედრა ლატვიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში, ინგრიდა ლევრენცთან, 02.10.2018;
- შეხვედრა ევროკავშირის ელჩთან საქართველოში, კარლ ჰარცელთან, 19.10.2018;
- შეხვედრა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში, ჰუბერტ ქნირშთან, 06.12.2018.

2019 წელი

- შეხვედრა აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობის შემსრულებელთან საქართველოში, როს უილსონთან, 01.02.2019;
- შეხვედრა ჩეხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში, პეტრ მიკისკასთან, 05.08.2019;
- შეხვედრა არაბთა გაერთიანებული საამიროების ელჩთან საქართველოში, ისა ალბაშა ალ ნოაიმისთან, 08.10.2019;
- შეხვედრა საფრანგეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში, დიეგო კოლასთან, 01.11.2019;
- შეხვედრა ნიდერლანდების სამეფოს დანიშნულ ელჩთან საქართველოში, მააიკე ვან კოლდამთან, 11.12.2019.

16. ვიზიტები საზღვარგარეთ

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დელეგაცია უცხოეთში ვიზიტისას, რელიგიის მიმართულებით არსებულ საკითხებზე მსჯელობისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, შეხვედრებს მართავს კოლეგა რელიგიურ და სხვა უწყებების ხელმძღვანელ პირებთან.

2018 წელი

1. 2018 წელს შედგა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი კატარში (დოჰა).

გაიმართა შეხვედრები:

- სააგენტოს თავმჯდომარემ მონაწილეობა მიიღო კატარის დედაქალაქ დოჰაში გამართულ მე-13 ინტერრელიგიურ კონფერენციაზე – „რელიგია და ადამიანის უფლებები“;
- დოჰას ინტერრელიგიური დიალოგის საერთაშორისო ცენტრის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარესთან, პროფესორ იბრაჰიმ სალეჰ ალ-ნაიმისთან;
- საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან კატარში, ნიკოლოზ რევაზიშვილთან.

2. 2018 წელს შედგა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი თურქეთში.

გაიმართა შეხვედრები:

- თურქეთის რელიგიის საკითხთა დირექტორატის (დიანეთის) თავმჯდომარესთან, პროფესორ, დოქტორ ალი ერბაშთან;
- თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველოს საგარეო საქმეთა დირექტორატის ხელმძღვანელ ერდალ ათალაისთან;
- თურქეთის კულტურისა და ტურიზმის მინისტრთან, ნუმან ქურთულმუშთან;
- თურქეთის პარლამენტის მართლმსაჯულების კომიტეტის თავმჯდომარესთან, აჰმეთ იიმაიასთან და საქართველოს მეგობართა ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილესთან, ჰუსეინ მაჰინთან;
- სტამბოლის მარმარას უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის ხელმძღვანელებთან;
- სტამბოლის ბეიოდლუს ვაჟთა სასულიერო სკოლა – ლიცეუმის ხელმძღვანელებთან, ისლამის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელებთან;
- სტამბოლის მუფტთან, პროფესორ, დოქტორ ჰასან ქამილ იილმაზისთან.

3. 2018 წელს შედგა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი ირანში.

გაიმართა შეხვედრები:

- ირანის ქალაქ ყუმის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის „ვალი-ასრი“-ს დირექტორთან, აიათოლა ჰოსსეინ კაზმეინთან;
- რელიგიური განათლების მინისტრთან, ალ-მუსტაფას უნივერსიტეტის პრეზიდენტთან, აიათოლა ალი რეზა არაფისთან;
- თეირანში ისლამური კულტურისა და ურთიერთობების ორგანიზაციის ხელმძღვანელთან, აბუზარ იბრაჰიმ თურქმანთან;
- ერაყის სულიერი ლიდერის აიათოლა ალი სისტანის წარმომადგენელსა და ორგანიზაცია ალულ ბეითის ხელმძღვანელთან, აიათოლა შაჰრისტანისთან;
- ისპაჰანის გუბერნატორის მოადგილესთან, დოქტორ ჰამიდ რეზა ტაბატაბესთან.

4. 2018 წელს, ვაშინგტონში (აშშ), აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, მაიკ პომპეოს მასპინძლობითა და პატრონაჟით, რელიგიის თავისუფლების საკითხებისადმი მიძღვნილი მინისტერიალი – „Ministerial to Advance Religious Freedom“ – გაიმართა. მინისტერიალში 200-მდე ქვეყნის საგარეო და რელიგიის საკითხებზე მომუშავე ხელმძღვანელი პირებისაგან შემდგარმა დელეგაციებმა მიიღეს მონაწილეობა. დონისძიებას, ასევე, სხვადასხვა ქვეყნის სასულიერო ლიდერებიც ესწრებოდნენ, მათ შორის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქიის ეპისკოპოსი საბა (ინწირველი). საქართველოს სახელმწიფოს დელეგაციას წარმოადგენდნენ: საგარეო საქმეთა მინისტრი, დავით ზალკალიანი, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე, ზაზა ვაშაყმაძე და საქართველოს სახელმწიფოს საელჩო აშშ-ში.

აღნიშნული მინისტერიალი გაიმართა 2019 წელსაც, რომელსაც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, დავით ზალკალიანი დაესწრო.

შეხვედრები გაიმართა:

- აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის სამოქალაქო უფლებების ოფისის სპეციალურ წარმომადგენელთან რელიგიური დისკრიმინაციის საკითხებში, ერიკ ტრინთან და იუსტიციის დეპარტამენტის კრიმინალური ოფისის ევრაზიის რეგიონულ დირექტორთან, კატერინა ლ. ნიუკამბესთან;
- აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის რელიგიის საერთაშორისო თავისუფლების სრულუფლებიან ელჩთან, სემუელ ბრაუნბეკთან;

- აშშ-ში მოქმედი საერთაშორისო ებრაული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, კერძოდ, „NCSIJ“-ის (ევრაზიის ებრაელთა მხარდაჭერის ნაციონალური კოალიცია) თავმჯდომარის მოადგილე მარ ლევინთან, ამავე ორგანიზაციის დირექტორის მოადგილე ლესლი ვეისთან და ორგანიზაცია „ბნაიბრიტ“-ის ვიცე პრეზიდენტ დენ მარინთან.

5. 2018 წლის 25 აპრილს ბელგიაში, ბრიუსელში, გაიმართა ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე საქართველო-ევროკავშირის დიალოგის (HRD) რიგით მე-11 შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურის (EEAS) წარმომადგენლები.

შეხვედრაზე იმსჯელეს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებებზე. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, დავით დავითაშვილმა ისაუბრა „ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმით“ გათვალისწინებული საჯარო მოხელეების ტრენინგებზე, რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსებაზე, ქონებრივ და ფინანსურ საკითხთა შემსწავლელი კომისიის საქმიანობაზე.

6. 2018 წელს, ქ. რომში, ეუთო-ს იტალიის თავმჯდომარეობისა და ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) ორგანიზებით გაიმართა კონფერენცია: „შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომელიც ფოკუსირდება რელიგიასა და რწმენაზე დაფუძნებულ დისკრიმინაციაზე: ეუთოს რეგიონში ყოვლისმომცველ რეაგირებასთან მიმართებით“.

კონფერენციაზე მიწვეული იყო რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, რომელსაც წარმოადგენდა სტრატეგიული კვლევის, ანალიზისა და რეგიონების სამსახურის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, სერგო ფარულავა.

7. 2018 წელს შედგა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი კვიპროსზე.

გაიმართა შეხვედრები:

- კვიპროსის რესპუბლიკის ჰუმანიტარულ სააქმეებსა და საზღვარგარეთ მცხოვრები კვიპროსელების საკითხებზე კვიპროსის პრეზიდენტის სპეციალურ წარმომადგენელთან, ფოტის ფოტიუსთან;
- კვიპროსის რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა კომისარ (ომბუდსმენს) მარია სტილიანუ-ლოტიდისთან;

- საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან კვიპროსის რესპუბლიკაში, რევაზ ლომინაძესთან;
- კვიპროსის კიკოსის ღვთისმშობლის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარ, მამა ალათონიკესთან;
- კვიპროსის პარლამენტის განათლებისა და კულტურის კომიტეტის თავჯდომარესთან, კირიაკოს ჰაჯიიანისთან.

სააგენტოს დელეგაციამ, ასევე, მოინახულა კვიპროსის სოფ. სოფტადესში და სოფ. ალამინოსში აღმოჩენილი ქართული ეკლესიის ნანგრევები.

ასევე, უნდა ითქვას, რომ კვიპროსის ხელისუფლებამ ქართველთა ისტორიული ღვაწლის აღსანიშნავად, საქართველოს სახელმწიფოს, დალიას სამონასტრო კომპლექსის მიმდებარედ, 13 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი გადასცა მასზე ეკლესია-მონასტრის ასაშენებლად (მიწის ნაკვეთის სახელმწიფო ღირებულება – 260 000 ევრო, ხოლო საბაზრო ღირებულება – 1000 000 ევროა). კვიპროსის ხელისუფლებამ საჩუქრის რეგისტრაციაში გატარების თარიღი – 04.01.2018 – სიმბოლურად, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის დაბადების დღეს დაამთხვია.

8. 2018 წელს, შედგა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი ავსტრიაში.

გაიმართა შეხვედრები:

- რელიგიის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო სტრუქტურის, „კულტის სამსახურის“ უფროსს, ოლივერ ჰენჰაპელსა და თანხმლებ დელეგაციასთან;
- ვენის ადგილობრივ სათვისტომოსა და სამრევლოს წარმომადგენლებთან;
- ვენის წმ. დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძრის წინამძღვარ, ილუმენ ილია ჩადუნელსა და ადგილობრივი სამრევლოსა და სათვისტომოს წარმომადგენლებთან;
- ავსტრიის პარლამენტის წარმომადგენლებთან: ავსტრიის მმართველი პარტიის ერთ-ერთ ლიდერთან, პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარე ვოლფგანგ გერტსლთან, საკანონმდებლო სპიკერ ნორბერტ ზიბერსა და ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავჯდომარეს, ავსტრია-საქართველოს საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელ, ნიკოლაუს შერაკთან; აღნიშნული შეხვედრა გაშუქდა ავსტრიის საპარლამენტო დირექციის პრეს-სამსახურის მიერ, სათაურით „საქართველოს არჩევანია რელიგიათა მშვიდობიანი თანაცხოვრება“;
- ავსტრიის ებრაული თემის წარმომადგენლებთან, ებრაული ვენის კავშირის ვიცე-პრეზიდენტ, დეზონი დავარაშვილსა და ებრაელთა ავსტრიის თემის გენერალურ მდივან, რაიმუნდ ფასტენბაუერთან;

- ავსტრიის ისლამური რელიგიის გაერთიანების პრეზიდენტ იუმიტ ვურალთან;
- ავსტრიის რესპუბლიკის ევროპის, ინტეგრაციისა და საგარეო საქმეთა ფედერალურ სამინისტროში ფუნდამენტური საკითხების ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსთან, მიხეილ ჟირარდისთან;
- კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ავსტრიის მიტროპოლიტ და უნგრეთის და ცენტრალური ევროპის ეგზარქოს, მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობა არსენიოსსთან (კარდამაკისი);
- ვენის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის წარმომადგენლებთან;
- ვენის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის რელიგიის მეცნიერებათა კათედრის პროფესორ ვოლფრამ რაისთან.

2019 წელი

1. 2019 წელს შედგა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი პოლონეთში.

გაიმართა შეხვედრები:

- „კათოლიკეთა და მუსლიმთა საერთო საბჭოში“, რომელსაც ესწრებოდნენ საბჭოს პრეზიდენტები – აგატა ნალობორჩიკი (კათოლიკური თემის წარმომადგენელი) და ანდჟეი სარამოვიჩი (მუსლიმი თემის წარმომადგენელი);
